რუსეთის მტკიცებით, გორში მოკლული ჟურნალისტის სხეულში „ისკანდერის“ ნამსხვრევები განზრახ მოგვითავსებია!.. ②

საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 24 მაისი. 2018 წ. №109 (8510), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რატომ არ ჩქარობს ბრიუსელი უვიზო რეჟიმის შეჩერებას საქართველოსთვის? ⑨



ვარდების მოედანს პირველი რესპუბლიკის სახელი დაერქვა

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ვარდების მოედანს პირველი რესპუბლიკის სახელი ეწოდება და საკითხი დასამტკიცებლად საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გავა.

კომისიის თავმჯდომარის თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, გამომდინარე იქიდან, რომ 26 მაისს სრულდება 100 წელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებიდან, კომისიის წევრთა უმრავლესობა ამ სახელზე შეჯერდა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომას პროტესტის ნიშნად არ დასწრებიან ფრაქციების „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრები.

მსოფლიოს მოდებული ჭირი ④ ნარკოპოლიტიკა და ნიდერლანდები

სიზიფეს ნაბუშარი ③

ღლიცინი

„საქართველოში ქალებს კლავენ!!!“

„საქართველოში ქალებზე ქალადობენ!!!“ ③

კახა კალაძე: მეტროს მემანქანეებისთვის ხელფასების გაზრდა გამორიცხული და შეუძლებელია!

თბილისის მერი კახა კალაძე მეტროს მემანქანეების პროტესტს ეხმაურება და აცხადებს, რომ არც კომპანიას და არც დედაქალაქის მერიას არა აქვს არანაირი შესაძლებლობა, რომ მათი ანაზღაურება 45%-ით გაზარდოს.

„ჩვენი პოზიცია ძალიან მარტივია. რამდენჯერმე გავაკეთეთ ახსნა-განმარტებითი განცხადება. ამ ეტაპზე არც კომპანიას და არც დედაქალაქის მერიას არა აქვს არანაირი შესაძლებლობა, რომ ხელფასები, რომელიც 1400-დან 2000 ლარამდე მერყეობს, 45%-ით გავზარდოთ. ეს არის გამორიცხული და შეუძლებელი, მაშინ როდესაც უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე გვყავს ადამიანები დასაქმებული, რომლებიც იღებენ 400 ლარს, 600 ლარს, 700 ლარს, 800 ლარს და ძალიან საპასუხისმგებლო სამუშაოა აქვთ. თუმცა, თუ მეკითხებით, საკმარისია თუ არა ის ხელფასი, რასაც იღებენ, არა მხოლოდ მეტროს მემანქანეებზე მაქვს საუბარი, ზოგადად, არ არის საკმარისი. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდეს, წინ წავიდეს და პირველი მე ვიქნები, ვინც ამაზე გააკეთებს განცხადებას. ამის შესაძლებლობა ქვეყანას და ქალაქს უნდა გააჩნდეს. რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, იცით, რომ გაფიცვასაც თავისი წესები აქვს. ვაპირებთ მათი მოთხოვნა სასამართლოში გავასაჩივროთ, რადგან ნამდვილად არასწორი მოთხოვნებია მათი მხრიდან წამოყენებული. მიუხედავად იმისა, რომ ახსნა- განმარტებები იქნა გაკეთებული, ვისმენთ განცხადებებს იმასთან დაკავშორებით, რომ ისინი არ დაემორჩილებიან სასამართლოს გადაწყვეტილებას, ამიტომ, ჩვენ ვიმოქმედებთ კანონის ფარგლებში“, — განაცხადა კალაძემ.

მსაჯი თუ საფეხბურთო მატჩს მსაჯობს ცუდად, ამ შემთხვევაში რას ამბობენ გულშემატკივრები?

პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ შეწყალების პოლიტიკაზე გამოთქმულ ბრალდებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვითარება ჰგავს სიტუაციას, როცა ფეხბურთის მატჩზე მსაჯი ცუდად იქცევა და მის მიმართ ლოგიკური ეჭვები ჩნდება.

„ძალიან დიდია რეციდივის მაჩვენებელი შეწყალების პირობებში. მე ვთქვი, რომ როდესაც 100-ჯერ აღემატება პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების სტატისტიკა ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკას, ამას შეიძლება ჰქონდეს სამიდან ერთ-ერთი მიზეზი: ეს არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, შესაძლო კორუფცია და სამართალდამცავი სისტემის მიზანმიმართული ნგრევა. სამიდან ერთ-ერთ ალტერნატივაზე იყო საუბარი... მარტივი შედარება რომ მოვიყვანოთ, მაგალითად, მსაჯი თუ საფეხბურთო მატჩს მსაჯობს ცუდად, ამ შემთხვევაში რას ამბობენ გულშემატკივრები? — მან არ იცის მსაჯობა, ან მიკერძოებულია ერთ-ერთი გუნდის საწინააღმდეგოდ, ანდა სასარგებლოდ, ან მესამე : ფული აქვს აღებული. მეოთხე ვარიანტი ამ დროს არ არსებობს. ეს რომ თქვას გულშემატკივარმა, ბუნებრივია, მსაჯმა არ უნდა მოითხოვოს ამ გულშემატკივრის პროკურატურაში წასვლა“, — განაცხადა კობახიძემ.

„მოკვდა ვაჟკაცურის სიკვდილით...“ ⑦

კეთილშობილი ქართველი თავადი კოტე აფხაზი

საქართველო მართლაც ისტორიული პროცესის მონაწილეა!

სტრასბურგის სასამართლო აგრძელებს საქმის განხილვას „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“

სასამართლოს სიტყვით უკვე მიმართეს საქართველოს და რუსეთის მხარეების ადვოკატებმა.

„საქართველოს მხარე ძალიან საინტერესოდ და ძლიერად იყო წარმოდგენილი, სამართლებრივი არგუმენტები და ფაქტობრივი მოტივაცია იყო საკმაოდ დეტალურად, მძლავრი აქცენტებით წარმოჩენილი. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, გარკვეული ნაწილი, ცოტა არ იყოს, გაყალბებული უახლესი ისტორიის აღწერა იყო, რაც, გულწრფელად რომ ვთქვა, ვერ გავიგე, სამართლებრივად რატომ იყო საჭირო. ფაქტობრივ ნაწილს რაც შეეხება, ძირითადი არგუმენტები რუსული მხარის იყო ის, რომ არსებობდა გარკვეული მტკიცებულებები ფოტოების, სიუჟეტების, სოციალურ ქსელში დადებული ინფორმაციის სახით, რომელთა ნაწილი აღარ არსებობს, ნაწილი კი შემონახულია; თუმცა, როგორც მოსამართლე, ვიტყვი, რომ, თუკი კონკრეტული მტკიცებულებების ავთენტიკურობა არ არის დადგენილი, ამ მასალებზე შემდეგი შეფასება და მსჯელობა, მაგალითად, საერთო სასამართლოების სისტემაში, არც მიიღება და არც განიხილება — სამართლებრივად შეუძლებელია, ვიმსჯელოთ, თუკი ექსპერტიზა არ არსებობს; ვინაიდან ყალბია თუ არა მტკიცებულება, ეს მხოლოდ ექსპერტის შესაფასებელია, არც ერთი მოსამართლე ექსპერტი არ არის.

ემოციურად ძალიან ამაღელვებელი იყო ბრიტანელი ადვოკატის მიერ იმის აღნიშვნაც, თუ რამდენად განსაკუთრებული თარიღია ჩვენთვის 26 მაისი. 26 მაისს აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის მიღებიდან 100 წლისთავი. ბენ ემერსონმა საამაყოდ წარმოადგინა ჩვენი მხარე და დიდ წარმატებას ვუსურვებ ქვეყანას. ის, რაც სამართლიანია, ვფიქრობ, სწორი გეზი უნდა პოვოს.

არის რიგი საკითხებისა იურისდიქციის მიმართულებით. მართლაც გარკვეული პრეცედენტია შესაქმნელი ამ საქმეზე, რადგან სახელმწიფოთაშორისი დავები ამ სასამართლოსთვისაც კი ცოტა შეზღუდული და სხვა კრიტერიუმით განიხილება. ასე რომ, დღეს საქართველო მართლაც ისტორიული პროცესის მონაწილეა და ვნახოთ, ჩვენ ერთად ვაკვირდებით ამ პროცესს“, — აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე გასიტაშვილი.

რუსეთის მტკიცებით, გორში მოკლული ჟურნალისტის სხეულში „ისკანდერის“ ნამსხვრევები განზრახ მოგვითავსებია!..

რუსეთი ამტკიცებს, რომ 12 აგვისტოს გორში „ისკანდერი“ არ გამოუყენებიათ და დანაშაული ფაბრიკაციაა, — გორში „ისკანდერის“ ტიპის რაკეტის გამოყენებაზე და საქართველოს მტკიცებულებებზე საქართველოს სახელმწიფოს ბრიტანელმა ადვოკატმა ბენ ემერსონმა სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეზე — „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (საქმე II)“ სხდომაზე გამოსვლისას ისაუბრა.

მისი თქმით, აღნიშნული ვერსია ყველასთვის რთული დასაჯერებელია.

ამასთან, ადვოკატის განცხადებით, რუსეთი ასევე ამტკიცებს, რომ 12 აგვისტოს გორში მოკლული ჰოლანდიელი ჟურნალისტის სტან სტორიმანსის სხეულში „ისკანდერის“ ნამსხვრევები განზრახ მოათავსეს.

„რუსული მხარე ამტკიცებს, რომ მათ „ისკანდერის“ გამოყენების ან 12 აგვისტოს ამ სისტემის მითითებულ ადგილზე დისლოცირების არანაირი მტკიცებულება არ აქვთ. საყურადღებოა, რომ რუსეთის სამხედრო მოწმეების თქმით, ისინი არც კი უშვებენ იმას, რომ ამ თავდასხმაზე რუსეთს რაიმე სახის პასუხისმგებლობა ეკისრება და, რომ „ისკანდერი“ რუსულ რაკეტას იყენებდა. როდესაც მათ წარუდგინეს ნამსხვრევები, რომლებიც სტან სტორიმანსის სხეულიდან იქნა ამოღებული, მაშინ თქვეს, რომ ცხედარში ისინი განზრახ იყო მოთავსებული.

როდესაც ვუთხარით, რომ აღმოჩენილი რაკეტის ნაწილების სერიული ნომრების მიხედვით, მისი რუსული წარმომავლობა დგინდებოდა, მაშინ მათ თქვეს, რომ მთელი დანაშაული ფაბრიკაცია იყო, რომელიც ანტირუსულ პროპაგანდას ემსახურებოდა, რაც ყველასთვის ნამდვილად რთული წარმოსადგენია. ეს მიუთითებს რუსეთის პასუხის ხარისხზე და იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად უდგებიან ამ საქმეს. ექსპერტების დასკვნაში ნათქვამია, რომ გამოყენებული რაკეტა რუსული საწყობებიდან იყო“, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს ადვოკატმა.

მოსკოვი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციიდან გამოსვლითა და სასამართლოს დაფინანსების შეწყვეტით იმუქრება

რუსეთი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციიდან გამოსვლითა და სასამართლოს დაფინანსების შეწყვეტით იმუქრება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ იქნება, — ამ განცხადებას საქართველოს სახელმწიფოს ადვოკატი ბენ ემერსონი ბრიტანულ გამოცემა The Guardian-თან საუბარში აკეთებს.

„საიდუმლო არ არის ის, რომ რუსეთი საჯაროდ და დახურულ ფორმატში ლობირებს იმას, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მოსკოვის სასარგებლოდ მიიღოს. რუსეთი ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციიდან გასვლით და სასამართლოს დაფინანსების შეწყვეტით იმუქრება, თუ სასამართლო მის წინააღმდეგ გადაწყვეტილებას მიიღებს“, — განაცხადა ბენ ემერსონმა.

მიხეილ ჯანელიძე პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

საქართველოს ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე გაეროს უშიშროების საბჭოს ღია დებატების ფარგლებში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს იაცეკ ჩაპუტოვიჩს შეხვდა.

უშიშროების საბჭოს დებატები პოლონეთის თავმჯდომარეობის ინიციატივით გაიმართა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების დაცვის საკითხებს დაეთმო. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

ორმხრივ შეხვედრაზე მიხეილ ჯანელიძემ მადლობა გადაუხადა პოლონეთს უშიშროების საბჭოს ფორმატში საერთაშორისო თანამეგობრობისათვის მნიშვნელოვანი საკითხების წამოწევისთვის. როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, პოლონეთისთვის მნიშვნელოვანია, გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში ყურადღება გაამახვილოს ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევას, გაეროს წევრი ქვეყნების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

აშშ-სგან საბრძოლო აპარატურის შეძენა გრძელდება!

უახლოეს მომავალში საქართველო გეგმავს, გააგრძელოს იარაღის შეძენა საკუთარი ჯარისთვის აშშ-სგან. ეს იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას და აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის ჯონ რუდის ვაშინგტონში შეხვედრის საუბარის თემა.

შეხვედრის შემდეგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები შეიძენს საბრძოლო აპარატურას და იარაღს აშშ-ში. **„აშშ-სგან სარაკეტო კომპლექსი „ჯაველინის“ შეძენის შემდეგ გრძელდება საბრძოლო აპარატურისა და იარაღის შეძენა“,** — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ. **„აქცენტი გაკეთებული იქნება აშშ-სგან მცირე ზომის ტაქტიკური ერთეულის შეიარაღების შეძენაზე“,** — აცხადებს საქართველოს თავდაცვის პრეს-სამსახური.

31-ე ბატალიონი „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიიდან სამშობლოში დაბრუნდა

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი, ვიცე-პოლკოვნიკ ლაშა ადუაშვილის მეთაურობით, ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიიდან საქართველოში გუშინ გამთენიისას დაბრუნდა. სამხედროებთან ერთად სამშობლოში ჩამოვიდა ქვედანაყოფის კაპელანი დეკანოზი გობრონი.

ქართველ მშვიდობისმყოფელებს ალექსეევკას შერეულ საავიაციო ესკადრილიის სამხედრო აეროდრომზე გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე და III ქვეითი ბრიგადის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ კალმახელიძე დახვდნენ. მათ სამხედროებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება მიულოცეს და „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის წარმატებით შესრულებისთვის მადლობა გადაუხადეს.

31-ე ბატალიონი ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე საერთაშორისო მისიას ბაგრამის საავიაციო ბაზაზე, ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან ერთად, შვიდი თვის განმავლობაში ასრულებდა. ქართველი სამხედროების ამოცანა ბაგრამის საავიაციო ბაზის უსაფრთხოების დაცვა იყო.

„ჩემი სახლი აფხაზეთში“...

ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, ბავშვები, ჩვენი ახალი თაობა, რომელიც იქნება საუკეთესო საფუძველი იმისა, რომ აუცილებლად გამოვნახავთ საერთო ენას ჩვენ აფხაზ ძმებთან და დებთან — ეს არის ჩვენი უმთავრესი ეროვნული ამოცანა, — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გამოფენის — „ჩემი სახლი აფხაზეთში“ გახსნაზე განაცხადა. გამოფენა საქართველოს პარლამენტში, აფხაზეთის დღის აღსანიშნავად, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძის ინიციატივით გაიმართა.

ირაკლი კობახიძის თქმით, ბავშვების მიერ შესრულებულ ნამუშევრებში თითოეული ქართველის განცდაა ასახული.

ᲦᲚᲘᲪᲘᲜᲘ



„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲙᲚᲐᲕᲔᲜ!!!“
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲖᲔ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲔᲜ!!!“

ᲩᲐᲕᲠᲗᲔ **იმ დღეს ტელევიზორი და თავზარი თუ არ დამეცემოდა, არ მეგონა.**

ეკრანზე ინგა გრიგოლია გაბიჯგული იდგა, ტუჩები მაქსიმალურად დაებუშტა და XX საუკუნის ლეგენდარული დიქტორის, ლევიტანის დიქციით (გახსოვთ: „ყურადღება, ლაპარაკობს მოსკოვი!“) ქუხდა: „საქართველოში ქალებს კლავენ“, „საქართველოში ქალებზე ძალადობენ!“

რამ არ გამიელვა თავში, ვაითუ, სადმე ანტიფემინური ამბოხი დაიწყო და დახოცილი ქალების გვამებით სავსეა იქაურობა-მეთქი. ერთი სიტყვით, სანამ გავერკვეოდი, ჩემი დამემართა.

თანდათან მივხვდი, რომ მოკლულ და ნაძალადევ ქალთა შორის თავის თავს გულისხმობდა ალეგორიულად და გარშემოხვეულ ჟურნალისტებს წარმტაცად, დაწვრილებით, უყვებოდა რაშიც იყო საქმე, ისე დაწვრილებით, რომ მისმა ავბედითმა მონოლოგმა ათობით ძვირფასი საეთერო წუთი შეიწირა.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წელია, ინგას ვიღაც უცნობი მამაკაცი დასდევს და არ ასვენებს, ფულს სთხოვს, ემუქრება, უმტკიცებს, შენი შვილის მამა ვარო! თურმე არ გაჭრა ინგას არგუმენტებმა, ჩემი შვილის მამა როგორ იქნები, როცა მე მას ვიცნობ, შენ კი არ გიცნობო. არა და არა, კარგად გაიხსენე, დასტურ შენი შვილის მამა ვარო. უკანასკნელ ხანს წერილიც მიუწერია იმ ავაზაკს, კარს შეგიმტვრევო, რაც კი უბედურება მჭირს, შენგან მჭირს, შე ასეთო და ისეთოო.

ბუნებრივია, ინგას მოთმინების ფიალა აევსო და შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით მიმართა: დამიცავით, მოძალადე ციხეში ჩასვითო!..

საშინელი ვითარებაა, თქმა არ უნდა!

მაგრამ მადლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს: ინგას თავისი მრისხანე ბრალდება დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ მოძალადე უცნობი გასკვანჭეს.

მთავარი შოკი მაშინ მიიღო დაზარალებულმა, როცა ტელეეკრანზე ვიხილეთ იმ კაცის ფოტო.

როგორ არ ჰგავს იგი იმას, რაც მაყურებელს უკვე შეექმნა წარმოსახვით...

უბადრუკი, ავადმყოფი, წლოვანი მამაკაცი... პორტრეტის დასასრულებლად იტყვიან, ბეწვებით ყურებსა და ცხვირზეო.

აქვე, ცნობისთვის: ასეთი რამ პირველად არ მომხდარა, მსოფლიო ისტორიაში. მომაბეზრებელი „თაყვანისმცემლები“ ხშირად აწუხებენ ცნობილ პიროვნებებს, მაგალითად, გამოჩენილი მომღერალი და მსახიობი ქალის უიტნი ჰიუსტონის ასეთ დევნაზე ფილმიც კია გადაღებული (ბოლოსდაბოლოს, ჯონ ლენონიც აბეზარი თაყვანისმცემლის ხელით არ დაიღუპა?!)

მაგრამ არავის ამის გამო განმაზოგადებელი დასკვნა არ გაუკეთებია: არიქა, ამერიკაში (ინგლისში, საფრანგეთში) ქალებს ხოცავენო, ქალებზე ძალადობენო.

ვთქვათ პირდაპირ: **მოხერხებულმა ინგა გრიგოლიამ ეს ამბავი კარგად გამოიყენა საკუთარი თავის სარეკლამოდ.** ბოლოს, სამშაბათს, თავისი საავტორო გადაცემა „რეაქციაც“ საქართველოში ქალთა კვლასა და ძალადობას მიუძღვნა. მაგრამ ბოლო კია? ვფიქრობ, თუ ის კაცი სულით ავადმყოფად ცნეს და ციხეში არ ჩასვეს, კიდევ ერთ დიდ კამპანიას ააგორებს ინგა და თანაც, თურმე პატიმარი იმუქრება, სასამართლოზე გრიგოლიასთან რომ დამაპირისპირებენ, ნახეთ, რეები ვთქვაო! აბა, მაშინ იხილავთ „საქართველოში უბედური ქალების ხოცვა-ჟლეტას!“

ეს თემა საღლიცინო არ არის და ნუ იღლიცინებთო, წინასწარმეტყველურად გაგვაფრთხილა ინგამ.

მართლაც არ არის საღლიცინო, მაგრამ თვითონვე რომ გახადა საღლიცინოდ! ბობოქარმა ინგამ ბოროტად გამოიყენა ის, რომ ეკრანზე ხელი მიუწვდება და „ტვ პირველი“ ორი დღე ოკუპირებული ჰქონდა. გააკეთა უმართებულო დასკვნები და მაყურებელს მცდარი წარმოდგენა შეუქმნა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე.

ვიმეორებთ: ის, რაც მას გადახდა, გამონაკლისი არ არის, ის კი არა, ხშირი მოვლენაც კია და აქედან სარგებლის მიღება სწორედაც რომ უკადრისი, საღლიცინო ამბავია.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ

ᲡᲘᲖᲘᲤᲔᲡ ᲜᲐᲑᲣᲨᲐᲠᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ?!

ᲠᲐᲪ **თავი მახსოვს, განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ გასული საუკუნის 90-იან წლებიდან, ეს სულ ახალგაზრდა კაცი, იქნებ უფრო სწორი იყოს, თუ ბიჭუნას ვიტყვით, კარიერისტულ კიბეს თავისი ფანდებითა და ხრიკებით ებღაუჭება.**

ეს ფანდები და ხრიკები კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ქართულ მაგალითს მოვიყვანთ, თავისი მოკლე, მაგრამ ძალით დაგრძელებული ჭკუით, არსენა ოძელაშვილობს, ანუ სახალხო გმირია, რომელიც ვირტუალურად მდიდართ ართმევს და ღარიბთ აძლევს... ხოლო თუ ინგლისურ მაგალითს მოვიშველიებთ, მაშინ რობინ ჰუდია, არსენა ოძელაშვილის ბრიტანელი ნახევარძმა, რომელსაც ასევე მდიდრების ქონება ეჩხირებოდა თვალში და ყველაფერი ღარიბთათვის ემეტებოდა...

ეს ისე, შედარებისთვის, თორემ ლაშიკოს ისე ჰგავს არსენასა და რობინს, როგორც ცალფეხმოტეხილი რწყილი ლომს დადევნებულ სპილოს...

ჩვენს აბსურდულ სინამდვილეში ლაშიკოს გარდა, კიდევ იყო ნაილაჯევი ოპოზიციონერობით და ხალხისთვის „თავგადაკლულობით“ გამორჩეული რამდენიმე ბიჭუნა, რომელთაც „სიმართლისთვის ბრძოლით“ ბოლოს და ბოლოს მიზანს მიაღწიეს, ახლა მაღალხელფასიან სავარძლებში სხედან და ხალხიც თუ ხალხის ჭირს ისე განიცდიან, როგორც სააკაშვილის ვასალი ნიკანდრო მელია ჩინურ გრამატიკაში ულვლილებას.

რაც შეეხება ამ პატარა წკეპლიკას, ლაშიკოს სულ ახალმა კარიერისტულმა გაბრძოლებამ, ანუ კიდევ ერთმა წინასწარმეტყველურმა ინტერვიუმ მიკარნახა, რომელიც 23 მაისის „ახალმა თაობამ“ მიაწოდა პოლიტიკურ ჭორებზე მონადირე ქართველ მკითხველს.

რაო, რა მინდაო, ლაშიკომ? რის ვანგა, რის კაკულია, რის ცაგარელი, მომავლის განჭვრეტა თქვენ ლაშა ჩხარტიშვილს ჰკითხეთ! ისე, სათქმელს ცოტა წინ გავუსწრებ და ლაშიკოს ვურჩევ, რახან ამდენი ჯახირ-ჯუხირით კარიერის კიბეზე ვერც ერთი მთავრობის ხელში ერთი საფეხურითაც ვერ აიაღმართა და მაღალხელფასიან სავარძელშიც ვერ ჩასკუპდა, იქნებ სულაც მკითხაობას ან მარჩიელობას მიჰყოს ხელი და დარწმუნებული ვარ, კარგა დიდძალ მაყუთს გამოჰკრავს ხელს. არადა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიხვდეს, რომ ეს ოხერი პოლიტიკოსობა არამც და არამც არ გამოსდის.

აი, გულთმისნობისა და წინასწარმეტყველების თანდაყოლილი ნიჭი თუ უნარი, აშკარად ეტყობა. აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ „ახალი თაობის“ ფურცლებზე ნაწინასწარმეტყველები, **რომ საქართველოში ივანიშვილის რეჟიმი მალე დასრულდებაო?!** ეჰ, რა ძალა დაკარგა „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც თუნდაც სულ პატარა სკამის დათმობით შეეძლო, ისეთი წინასწარმეტყველი შეეძინა, რომ ნაციონალებთან ამდენი დავიდარაბა სულ არ დასჭირდებოდათ, პირიქით, ლაშიკო ნაციონალების და, კერძოდ, სააკაშვილის ყველა უბედურებას „ოცნებას“ წინასწარ აცნობებდა და ბრძოლასაც ბევრად გაუადვილებდა.

ახლა კი, როგორც ხედავთ, ლაშიკო, სალომე სამადაშვილის ცხვირის ნესტოებივით შევიწროებული „ნაციონალების“ წინასწარმეტყველად მოგვევლინა და, აბა, მოუსმინეთ:

„დიახ, დემოგრაფიული თვალსაზრისითაც რთულადაა საქმე. საუბრობენ დასაქმების ზრდაზე, თუმც ფაქტია, რომ ამ კუთხითაც საერთოდ არაფერი კეთდება. ვერც გაკეთდება იმ ფონზე, როცა ხელისუფლება დაკავებულია საკუთარი ბიზნესების კეთებითა და მათი გამსხვილებით, მცირე ბიზნესს კი საერთოდ კლავენ საკუთარი ჯიბის გასქელების ხარჯზე.

როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესს ებრძვიან, იქ დასაქმების რეალურ ზრდაზე საუბარიც კი ზედმეტია! დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ხელისუფლებას ეს დიდი ლუკმა ყელში გაეჩხირება და ვერ გადაყლაპავს. არ უნდა შევეგუოთ იმას, როცა საკუთარი ქვეყნიდან გვაძევებენ, როცა საკუთარ ქვეყანაში შიმშილით გვკლავენ, საკუთარ ქვეყანას გვიტბორავენ! მე არა ვარ ისეთი პესიმისტი, ვიფიქრო, რომ ქართველები ამას შეეგუებიან. არავითარ შემთხვევაში, ამ ხელისუფლებას ძალიან მალე კუდით ქვას ასროლინებენ! საქართველოში ივანიშვილის ძალადობრივი და ქურდული რეჟიმი ძალიან მალე დასრულდება!..“

ერთი საშიშროება კი არსებობს, ძვირფასო წინასწარმეტყველო ლაშიკო, ამ ხელისუფლებას კუდით ქვას რომ ასროლინებ, ცოტა ფრთხილად იყავი, ნიკანდრო მელია აიფარე, რომ ერთი ყველაზე დიდი ქვა მაგ წინასწარმეტყველ თავში საბედისწეროდ არ მოგხვდეს, მელიას თუ მოხვდება, ჯანდაბას!

ისე, მელიასთან ერთად საერთო მახათსაც თუ შეიძენთ, ურიგო არ იქნება...

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲬᲘᲙᲚᲐᲣᲠᲘ

ᲚᲝᲗᲘ-ᲨᲤᲝᲗᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘᲪ ᲐᲠ ᲘᲨᲚᲘᲡ ᲚᲝᲗᲝᲑᲐᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, **ქალაქ მედინაში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოქალაქე დააკავეს არსებული ინფორმაციით, 22 წლის დაკავებული ქალაქის ცენტრში არაფხიზელ მდგომარეობაში გადაადგილდებოდა და აგრესიით გამოირჩეოდა.**

მან რესტორნის თანამშრომლებსა და გამვლელებს, რომლებიც მის დამშვიდებას ცდილობდნენ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. საქართველოს მოქალაქემ წინაალმდეგობა ადგილზე მოსულ პოლიციის თანამშრომლებსაც გაუწია, თუმცა სამართალდამცველებმა მისი დაკავება შეძლეს.

ᲡᲝᲚᲘᲡ ᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ 1,9 ᲬᲚᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲝᲑᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ოჯახში ძალადობაში ბრალდებული ლ.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 20 თებერვალს, დაახლოებით 20:00 საათზე, ქალაქ საგარეჯოში, ოჯახში ძალადობისთვის ნასამართლევმა ლ.მ.-მ მეუღლის — თ.ტ.-ს მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა, რის შედეგადაც დაზარალებულმა ფიზიკური ტკივილი განიცადა. სამართალდამცველებმა ლ.მ. იმავე დღეს დააკავეს, მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით წარედგინა (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არაერთგზის) და აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა.

ᲐᲢᲔᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝᲓ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲔᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ **სატყეოს სააგენტოს, შიდა ქართლის სატყეოს სამსახურის თანამშრომლებმა, გორში, ატენის ხეობაში, ხე-ტყის უკანონოდ მოპოვებისა და ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს. სამართალდამრღვევმა, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიიდან, უკანონოდ მოიპოვა 12 კუბურ მეტრამდე, წიწვოვანი სახეობის პირველი ხარისხის სამასალე მერქანი. სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ, სატვირთო ავტომანქანა დაილუქა. მიმდინარეობს გარემოზე მიყენებული ზიანის დაანგარიშება. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნება რაიონულ სასამართლოს.**

ნარკოპოლიტიკა და ნიდერლანდები

თანამედროვე **მსოფლიოში კრიმინალური ნარკოტიზმი აღიარებულია ნებისმიერი საზოგადოების საშიშ მოვლენად. ექსპერტთა თანახმად ნარკოტიკის მომხმარებელთა ირგვლივ გაფართოვდა მარგინალური წრეების არეალი, გახშირდა ლეტალური შემთხვევები, გაიზარდა მომხმარებელთა შორის ქალთა პროცენტული რაოდენობა და ა.შ.**

ევროპაში დასჯასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ პრევენციული ანუ წინასარი ღონისძიებების გატარებას. მაგალითისთვის ავიღოთ ნიდერლანდები, რომელიც ცნობილია თავის ტოლერანტული ნარკოტიკული პოლიტიკით. ქვეყანაში მოქმედებს ჯერ კიდევ 1928 წელს მიღებული ე.წ. ოპიუმის კანონი, რომელიც კრძალავს ნარკოტიკული ნივთიერებების ნებისმიერი სახით პროპაგანდას, აგიტაციას, რეკლამას ან დაძალებას ნებისმიერი გზით. კანონი მკაცრია მათ მიმართაც, ვინც შეგნებულად სჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ანუ გათვითცნობიერებული აქვს მისი საქმიანობის შედეგად საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი. დანაშაულის სიმძიმის დონის მიხედვით პირი ისჯება თავისუფლების აღკვეთით 4 წლამდე ან შესაბამისი კატეგორიების ჯარიმებით. 2011 წელს ქვეყნის გენერალურ პროკურორთა კომისიამ უფრო ფართო და ვრცელი სახე მისცა ამ კანონს. მაგალითად, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციეს ე.წ. კოფეშოპები და მათი ბიზნეს-საქმიანობა.

სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა. აქ მდებარეობს ტრიმბოს **სულიერი ჯანმთელობისა და დამოკიდებულებათა** სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი., რომელიც სისტემატურად აქვეყნებს დაწვრილებით ცნობებს ნარკოტიკების შესახებ, თითოეული ნარკოტიკის დახასიათებას, მათ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ინფორმაციას მათი საბაზრო ღირებულებების შესახებ, მათი გავრცელების, სატრანზიტო გზების და გადაადგილების შესახებ და ა.შ. ანუ სრულიად ხელმისაწავდომია ნებისმიერი მოქალაქისთვის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სრულყოფილი ინფორმაცია.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ნიდერლანდებში დამნაშავეობის დონე 25%-ით(!) შემცირდა. რის გამოც საპატიმროები საცხოვრებელ სახლებად, სასტუმროებად და დევნილთა თავშესაფრად გადააკეთეს. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით 2021 წლისათვის ზედმეტი გახდება საპატიმროების 3000 საკანი (ოთახი). ამჟამად ციხის კამერებს იქ აქირავებენ მეზობელ ქვეყნებს. მაგალითად, ბელგიასა და ნორვეგიას. ასევე, პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ მსჯავრდებულების გაშვებას სახლებში ელექტრონული სამაჯურებით, თავისუფლების გარკვეული შეზღუდვით.

აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციის ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დადგენილია, რომ გაუცხოება, გათიშულობა, გარიყულობა არცთუ იშვიათად მოზარდებს უბიძგებს მარგინალური წრეებისკენ და ასოციალური ქცევებისკენ. ასეთ მოვლენათა საწინააღმდეგოდ თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებად მიაჩნიათ ოჯახური სადილები. ისინი რეკომენდაციას იძლევიან — კარგი იქნება თუ ოჯახის წევრები ხშირად ერთად ისადილებენ სასადილო ოთახში (და ნაკლებად სამზარეულოში). სადილის დროს მაგიდის ირგვლივ მთელი ოჯახის ერთად თავშეყრა, გულღია საუბრები, გულისხმიერი დამოკიდებულება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოზარდებს უადვილებს საკუთარი პრობლემების შესახებ საუბარს და ნაჩქარევი თუ არასწორი გადაწყვეტილებებისა და ქმედებებისგან თავდაცვას. განსაკუთრებით დიდია სუფრის როლი მოზარდი თაობის პიროვნებისა და ქცევის ჩამოყალიბებაში. ჩვენი წინაპრები ტყუილად არ უწოდებდნენ სუფრას ცხოვრების აკადემიას. ვაზის ძირში დავიბადე და სუფრაზე გავიზარდეო — უთქვამს ქართველ კაცს.

ასე და ამგვარად, პურადობის უდიდესი შემაკავშირებელი ძალა და მაგიდის საკრალური მნიშვნელობა უმაღლეს მეცნიერულ დონეზე იქნა დამტკიცებული.

P. S. ჭეშმარიტად, ოჯახი გარკვეული ზნეობრივი ცხოვრების ადგილსამყოფელია, რადგან ბავშვების აღზრდა თუ ცოლქმრული ცხოვრება, უღლის ერთგულად ზიდვა, მოითხოვს პიროვნულ თავგანწირვას, რაც მერკანტილური თვალსაზრისით ირაციონალური ქმედებაა, რადგან მტკიცე ოჯახური ცხოვრებით მოწეულ მოსავალს ძალიან ხშირად ის კი არ იმკის, ვისაც ყველაზე მეტი ჯაფა ადგას და პასუხისმგებლობა აკისრია, არამედ მომავალი თაობები.

ფრენსის ფუკუიამა

მედეა თავდიშვილი
555 39-69-45.

ახალი მეწყერსაშიში ზონა თბილისში

ვარაზისხევში, შესაძლოა, დეველოპერებს მშენებლობა აეკრძალოთ

ვარაზისხევში, ნინო ჟვანიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დეველოპერებს შესაძლოა, მშენებლობა აეკრძალოთ. ამის შესახებ „კომერსანტს“ ვაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბიძინა გეგიძემ განუცხადა.

როგორც გეგიძემ განაცხადა, ტერიტორიის კომპლექსური კვლევა დასრულებულია. დასკვნის თანახმად, სტიქიური მოვლენების თავიდან ასაცილებლად, მდინარე ვარაზისხევის მარჯვენა ფერდობზე მშენებლობები უნდა აიკრძალოს, ხოლო უკვე აშენებული შენობების დასაცავად სპეციალური, ფერდობის გასამაგრებელი, საინჟინრო ნაგებობები მოეწყოს.

დეპუტატი აცხადებს, რომ მეწყრული პროცესების გააქტიურების ალბათობა დიდია. მთის ფერდის ძირი უკვე მოჭრილია, რის გამოც, არსებობს მეწყრული პროცესების გააქტიურების დიდი ალბათობა. ხოლო მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიაზე უხვნალექიანობის გამო დაძრული მეწყრის, ან ღვარცოფის განვითარების შედეგად მოსალოდნელია მდინარის კალაპოტის ჩახერგვა და წყლის ნაკადის გადმოსვლა არსებული ჯებირიდან.

„გეოფიზიკური და ზოგად გეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მდინარე ვარაზისხევის ხეობის ზედა წელში, მდინარის მარცხენა ფერდობზე მეწყრის საშიშროება არ არსებობს, მოსალოდნელია მხოლოდ მცირე მასშტაბის ქვათაცვენები. მარჯვენა ფერდზე არსებული გრუნტი კი არასტაბილურია“, — ასეთია დასკვნის ნაწილი.

ბიძინა გეგიძის განცხადებით, აღნიშნული კვლევის ჩატარება ნინო ჟვანიას ქუჩაზე მცხოვრებლების თხოვნით დაიწყო. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, იქ არსებული მშენებლობები უსაფრთხოების ნორმების დაცვის გარეშე მიმდინარეობდა.

„აქედან გამომდინარე, მივმართე სეისმოლოგიის ეროვნულ სააგენტოს და გარემოს დაცვის სამინისტროში არსებულ სამსახურებს. შედგა ჯგუფი, ჩატარდა კვლევა და მომზადდა დასკვნები. კვლევის პრეზენტაციები უკვე მოხდა. დაახლოებით 2 კვირაში საპარლამენტო ფორმატში საკითხის განხილვა დაიწყება, სადაც მიწვეულნი იქნებიან როგორც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ისე აღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის განმახორციელებელი დეველოპერები. სწორედ ამ ფორმატში მოხდება რეკომენდაციების გაზიარება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაც,“ — აცხადებს გეგიძე.

მისი განცხადებით, ამის შემდეგ ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ რეკომენდაციით მიმართავს მუნიციპალიტეტს, შეაჩეროს თუ არა მშენებლობები. გეგიძის განცხადებით, კონკრეტულ ტერიტორიაზე შესაძლოა, დროებით შეჩერება საჭირო გახდეს იმ სამუშაოების განსახორციელებლად, რაც უსაფრთხოების ნორმების დაცვისთვის აუცილებელია.

დეპუტატის განცხადებით, ამან შესაძლოა, იქ არსებული მშენებლობები გააძვიროს. თუმცა, როგორც გეგიძე აცხადებს, თუ მშენებელი კომპანია სპეციალისტების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს არ გაითვალისწინებს, პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრებათ.

რომელი დეველოპერული კომპანიები ოპერირებენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და შეაჩერა თუ არა თბილისის მერიამ მდინარე ვარაზისხევის მარჯვენა და მარცხენა ფერდობზე არსებული მშენებლობები, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ მერიაში სცადა. არქიტექტურის სამსახურში აცხადებენ, რომ კვლევის შედეგებს იცნობენ, შედეგად იმოქმედებენ გარემოს დაცვის სააგენტოს რეკომენდაციებით.

მათი ინფორმაციით, ამჟამად მდინარე ვარაზისხევის მარცხენა ფერდობზე მშენებლობას მხოლოდ ერთი კომპანია, „ბალტიკ ინვესტმენტ ჯგუფი“ ახორციელებს და მისი შეჩერება არ მომხდარა. რაც შეეხება მარჯვენა, უფრო საშიშ ზონას, არქიტექტურის სამსახურში ამბობენ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ დროისთვის არც მშენებლობა მიდის და არც ნებართვაა გაცემული.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა — დედამიწის მეგობრების წარმომადგენლის ნინო ჩხობაძის განცხადებით, ის დასკვნები რაც დაიდო, აბსოლუტურად ზუსტია. შედეგად, უნდა მოხდეს ფერდის გამაგრება და მხოლოდ ამის შემდეგ განვითარდეს ეს კონკრეტული ტერიტორია.

ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში, ნინო ჟვანიას ქუჩაზე მიმდინარე მთის დემონტაჟს მოქალაქეები და არასამთავრობო ორგანიაციები დიდი ხანია, აპროტესტებენ და მთავრობას რეაგირებისკენ მოუწოდებენ. მათი შეფასებით, ნადგურდება მთაწმინდისა და კუს ტბის გამყოფი ქედი, ულამაზესი ადგილი დედაქალაქში.

სოფო ძსოვრელი

ქუთაისის საბავშო ბაღში გველები შენიშნეს

ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე მდებარე მე-17 ბაგა-ბაღში რამდენიმე ქვეწარმავალი შენიშნეს, რის გამოც სააღმზრდელო პროცესი დროებით შეწყვიტეს. ბაღის ტერიტორიაზე გველები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე შენიშნეს, თუმცა დღეს ქვეწარმავალი შენობაში დაინახეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ბაღში გველების გამოჩენა მიმდებარე ტერიტრიაზე, მდინარე ოღასკურაში გაწმენდით სამუშაოებს უკავშირდება.

ტერიტორია სპეციალური ხსნარებით უკვე დამუშავდა, თუმცა როდის შეძლებენ ბავშვები ბაღში სიარულს, ჯერ უცნობია.

ჩიხი, „მთავრობის დამხობა“ რომ ჰქვია...

საქართველოს საშინაო თუ საგარეო ცხოვრება რომ ლოგიკური განვითარების წესებს გარეშე მიმდინარეობს, გასაკვირი არ არის. ქვეყანა ლამის 30 წელია, რაც დამოუკიდებლობას ეზიარა, თუმცა ნანატრი დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისეთივე დეფიციტია, როგორც მანამდე. 1992 წლიდან გავიძახით დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შესახებ, მაგრამ განვლილი წლები და ქვეყნის მართვაში მიღებული შედეგი საწინააღმდეგოს გვეუბნება.

ანალოგიურია თავისუფლების საკითხიც, რაც სულ ახლახან გაჟღერდა ცნობილ აქციაზე, რომელიც მიტინგების ტრადიციულად ქცეულ მოედანზე გაიმართა – პარლამენტის შენობის წინ. აქციის მონაწილენი დაბეჯითებით მოითხოვდნენ ხელისუფლებისგან თავისუფლებას.

არადა ის, რომ ანტისახელისუფლებო და ანტისახელმწიფოებრივი აქცია პარლამენტის წინ გაიმართა ნეტავ „თავისუფლების“ მცირეოდენი მარცვლის მატარებელი არ იყო?!

მომიტინგენი, ერთობ აღგზნებულნი, გმობდნენ პოლიციის შეჭრას ღამის კლუბებში – ნარკოტიკების ამოღების და ნარკომოვაჭრეების დაკავების მიზნით. რა ევალება სახელმწიფოს, თუ ის მართლაც დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალია? – უპირველეს ყოვლისა, წესრიგის დაცვა. სწორედ ამ საქმისთვის იხარჯება სოლიდური თანხები – მოქალაქეთა ჯიბეებიდან ამოღებული.

აქციის მონაწილეები ლანძღავდნენ ხელისუფლებას და მის პოლიტიკას ოპერაციის ერთობ უხეშად ჩატარების გამო. მათი აზრით, პოლიცია (სპეცდანიშნულების რაზმი) უხეშად კი არ უნდა შეჭრილიყო ღამის კლუბებში, არამედ ნაზად, ტანის რხევით, ისე, როგორც აქციის მონაწილეთა გარკვეული რაოდენობა ან საერთოდ არ უნდა შეჭრილიყო, ვინაიდან ასეთი, ძალის, თანაც გადამეტებულის გამოყენებაა და მეტი არაფერი.

სპეცრაზმის მიერ ჩატარებულ ღამის ოპერაციაში, შესაძლოა, მართლაც იყო რაღაც გადამეტება, მაგრამ სპეცრაზმი ისე მოიქცა, როგორც უნდა იქცეოდეს მსგავსი ოპერაციის დროს. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში, განსაკუთრებით იმაში, საქართველო რომ სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს.

ქართული პოლიცია და სპეცდანიშნულების რაზმი სწორედ ის სამართალდამცავი ორგანოებია, რომლებმაც მრავალწლიანი ტრენინგი გაიარეს აშშ-ის სპეციალისტების ძალისხმევით და თუ ვინმეს პოლიციის მეთოდები და ქცევა არ მოსწონს, მიმართოს ოკეანის გადაღმელ ინსტრუქტორებს.

პოლიციამ გააკეთა ის, რაც მას ასწავლეს და რაც არ ითვალისწინებს გაურკვეველ სირბილეს ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეკრებილები დაჟინებით მოითხოვდნენ „თავისუფლებას“ და მათი აზრით ის (თავისუფლება) უმალ დაისადგურებდა, თუ გადადგებოდნენ პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი. რა იოლი ყოფილა „თავისუფლების“ მიღება?!

თავისუფლების მცნება ღრმა და მრავალწახნაგიანია. მისი სიტყვით აღწერა, ერთობ ძნელია და სადავო, ამდენად არ შევუდგები ამ სათუთი თემის განმარტებას. ვიტყვი ერთს – თავისუფლება თითოეული ადამიანის მიერ განცდილი, გულისა და გონების დაუსრულებელ ჭიდილში ჩამოყალიბებული რამაა და მას სახელმწიფოდან „დახმარება“ არ სჭირდება.

პარლამენტის წინ შეკრებილებმა სახელმწიფოს, ხელისუფლებას მოსთხოვეს „თავისუფლება“, თან რისი? - ნარკოტიკების მოხმარების. ასეთი შეგრძნება გაუჩნდა ყველა იმას, ვინც აქციაზე არ იყო.

საქართველოში გაიმართა აქცია – ნარკოტიკების თავისუფლად მოხმარებასთან დაკავშირებით, რაც უნიკალური შემთხვევაა იმ უზომოდ „წინ წასული“ ქვეყნებისთვისაც კი, სადაც მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება ლეგალიზებულია.

გიხაროდენ! საქართველო პირველია მსგავს თემაზე მიტინგის მოწყობაში. მომიტინგეების მოწოდება – სახელმწიფო ებრძოლოს ნარკომოვაჭრეებს და არა ნარკომომხმარებლებს – სიტყვის მასალაა და უკბილო თავის მართლება.

პარლამენტთან გამართულ აქციაში ორივე იყო წარმოდგენილი. ხელისუფლებისადმი მკაცრ მოთხოვნას (თავისუფლებასთან დაკავშირებით) ახმიანებდნენ ისინი, ვინც დიდი ხანია, სინდის-ნამუსისგან თავისუფლები არიან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვინ მისცემდა თავს უფლებას 9 აპრილის მემორიალზე ერთობ ულამაზო ტანის ტრიალი (ვითომდა ცეკვა) წარმოედგინა. ამ „სექსუალურ“ გამოვლინებას ყველა შეკრებილი „აღფრთოვანებით“ შეხვდა. მეტი რა თავისუფლება გინდათ?!

მსგავსი „თავისუფლება“ ლავასავით მოედინება ტელეეკრანებიდან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოში ცისფრები, ლესბოსელები, ნარკომანები და ათასი ჯურის გადაგვარებულები, ანუ „თავისუფლები“ ცხოვრობენ.

სრულიად საქართველო კმაყოფილებას

ვერ მალავს აქციის მშვიდობიანად დამთავრების გამო. მარჯვენას და რაც მთავარია, გონებას უქებს შს მინისტრ გახარიას, აქცია და კონტრაქცია ერთმანეთს რომ არ შეასკდა. შს მინისტრმა ბოდიში მოუხადა აქციის მონაწილეებს „უხეში ფორმით“ ოპერაციის ჩატარების გამო, რამაც დააშოშმინა მომიტინგეები და ჩიხიდან გამოიყვანა. მაინც რა ჩიხიდან?

იმ ჩიხიდან, მთავრობის დამხობა რომ ჰქვია. მოთხოვნა – პრემიერის გადადგომასთან დაკავშირებით სწორედ ახალი მთავრობის მოსვლის საწინდარია. დავუშვათ, მართლა გადამდგარიყო კვირიკაშვილი, ვის მოყვანას აპირებდნენ აქციის მონაწილენი?

ამ კითხვაზე ვერც აქციის დროს და ვერც შემდეგ, დაწყობილ პასუხს ვერც ერთი მომიტინგე ვერ გასცემდა. რაც შეეხება ხელისუფლებას, მან უდავოდ შეტოპა „თავისუფლებაში“ და შედეგიც აშკარაა.

ნაკლებად თუ მოიძებნება ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ესოდენ გალაღებული იყვნენ გეები, ლესბოსელები, ნარკომანები და სხვა მანკიერი თვისებების მატარებლები. **ჩვენ პირველები ვართ „თავისუფლებაში“, რომელმაც ქვეყანა გადააგვარა.**

ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული უცხოეთში ქართველი გოგონების მრუშობა, სუპერმარკეტებში ქურდობა, ვაჟების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ბინების ძარცვა. სულ ახლახან ისრაელში მცხოვრები ჩემი ნაცნობი მეუბნებოდა - სირცხვილით თავი ვერ გამომიყვია, როდესაც ნავსადგურში კრუიზით შემოსულ გემებს მცირეწლოვანი ქართველი მეძავები ლამის იერიშით იღებენო.

როდესაც ქუჩა ამათია, ტელეეკრანიც, ღამის კლუბებიც და რესტორნებიც და თქვენ წარმოიდგინეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი, მეტი რაღა თავისუფლებაზეა ლაპარაკი?

არც აქციის ჩატარება გამკვირვებია და არც აქციაზე წარმოთქმული „სიბრძნე“, მაგრამ გამიკვირდა მომიტინგეთა მიერ დემონსტრირებული დაფების – რუსეთისა და მისი პრეზიდენტის გინებით გაჯერებული.

ეს ის შემთხვევაა, ძველი ანეკდოტი რომ გამახსენა – ცოლი რომ ქმარს ეუბნება: „სეროჟ, რატომ მცემ, პრიჩინა რა არისო“. „პრიჩინა იყოს, დედას მოგი... ვდიო“ – ქმარი რომ უპასუხებს.

მაინც რა შუაში იყო აქცია და რუსეთ-პუტინი?

ერთი შეხედვით, არაფერში, მაგრამ რომ ჩავუფიქრდეთ, ყველაფერში რუსეთი ის ქვეყანაა, სადაც სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ნარკომანიას და მასთან ბრძოლას, ებრძვიან ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას და ყველა იმ მანკიერებას, რაც აქ ღრმადაა ფესვგადგმული.

აქციის მონაწილეთა აზრით, ნარკოტიკი, რომელმაც სულ ახლახან არაერთი ახალგაზრდა გაისტუმრა საიქიოს, რუსეთიდან შემოვიდა. თითქოს რუსეთი სპეციალურად ახორციელებს მსგავს ქმედებას საქართველოს ახალგაზრდების მოსასპობად. კეთილი, მაგრამ თუ იცი რუსეთის მზაკვრული გეგმის შესახებ, მასთან ბრძოლას რაღა უნდა?

არც არაფერი – ნუ მიიღებთ ნარკოტიკს, რითაც რუსეთს „პროგრამას“ ჩაუფლავებთ!

ხუმრობა იქით იყოს და რუსეთ-პუტინის თემა ისეთია, საქართველოში ყველა რომ თანხმდება. თუ ვახსენებთ რუსეთს, მხოლოდ უარყოფითად. რუსეთის მიმართ ოდნავი მიმტევებლობაც კი ერის და ქვეყნის მოღალატეობად აღიქმება. ანტირუსულ კამპანიაში ისევ და ისევ მოწინავეობს „ნაცმოძრაობა“ და მისი წიაღიდან დაჩეკილი სატელიტი „პარტიები“. ტოლს არც ხელისუფლება უდებს.

განსაკუთრებულ ანტირუსულ აღგზნებულობას ჟურნალისტიკა გამოხატავს, რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა პრეზიდენტ მარგველაშვილის განცხადების შემდეგ.

ძნელად გასაგები რამ თქვა პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის გამართვასთან დაკავშირებით. ვინც მოისმინა მისი ნათქვამი, ერთობ ჩახუჭუჭებული და გაუგებარი, უდავოდ დაებადებოდა აზრი, რომ მას შეხვედრა არ უნდა და რასაც ამბობს, არის დასტური რუსეთის და პუტინის „დერჟავნიკობის“. თუ „დერჟავნიკობას“ მოიშორებს პუტინი და ჩვეულებრივი პრეზიდენტის სტატუსით წარუდგება მარგველაშვილს, მაშინ ის დათანხმდება მასთან დიალოგს – აქეთურზე, იქითურზე. ...

პრეზიდენტის ნათქვამი ულტიმატუმს ჰგავდა, მეტადრე მკაცრ პასუხს პუტინის წინადადებაზე - შეხვედრასთან დაკავშირებით. ასეთს წლების წინ ჰქონდა ადგილი. მაშინ ქართველი ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად პუტინმა არ გამორიცხა საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრა. ამ ნათქვამთან დაკავშირებით მარგველაშვილმა ბრძანა, რომ პასუხს მას შემდეგ გასცემს, რაც დასავლელ პარტნიორებს მოელაპარაკებოდა.

მარგველაშვილის პასუხი სწორედ ის „დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტია“, რაზეც წერილის დასაწყისში ვილაპარაკე. რუსეთის მხარემ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კარასინის სახით გვიპასუხა, რომ მოლაპარაკების გამართვას მომზადება სჭირდება.

მაინც რამ ათქმევინა მარგველაშვილს ასეთი რამ? – პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებამ ხომ არა?

შესაძლოა, ასეც იყო და თუ არა, ფაქტობრივად ხელისუფლებიდან წასულ პრეზიდენტს ვინ დაუთმობს საღადავო დროს? – მით უმეტეს, სუპერ-სახელმწიფოს პირველი პირი, რომლის ყოველი წუთი წინასწარ არის დაპროგრამებული.

მარგველაშვილის უაზრო განცხადება რომ ნაკლებად გასაკვირია, ფაქტია, მაგრამ პოლიტიკური სპექტრიც (პოზიცია-ოპოზიცია) რომ 30 წლის წინანდელ პოზიციაზე დგას, ესეც ცხადზე უცხადესია. გააკრიტიკეს რა პრეზიდენტი, ორივემ თქვა, რომ რუსეთთან მოლაპარაკება არ შედგება, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება.

ისევ ულტიმატუმი და გამაღიზიანებელი, არადიპლომატიური ლაყაფი, თითქოს რუსეთი საქართველო იყოს. და, რაც მთავარია, გარკვევით ითქვა, რომ საქართველო მოსალაპარაკებელ მაგიდას მხოლოდ პარტნიორებთან ერთად მიუჯდება. ესეც თქვენი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ასე ვერ გავფრინდებით?

ისე, საკითხავი მაინც ის არის – ვინ მართავს ქვეყანას: მთავრობა თუ არასამთავრობოები?!. და კიდევ ერთი – რატომ თვლემს დემოკრატიულად ამდენ ხანს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო?!“

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ჩვენ პირველები ვართ „თავისუფლებაში“, რომელთაც ქვეყანა გადააგვარეს...

თბილისის ტექნოპარკში „სტარტაპ კვირეული“ გაიხსნა

„სტარტაპ კვირეული“ თბილისის ტექნოპარკში 22- 26 მაისს გაიმართება და მის ფარგლებში სტარტაპები ყველა შესაძლებლობას გაეცნობიან, რასაც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები მათ იდეის გენერირებიდან მის რეალობად ქცევამდე სთავაზობენ. პროექტი დამწყები ბიზნესების წარმომადგენლებისთვის ინდივიდუალურ კონსულტაციებს მოიცავს მაღალკვალიფიციური უცხოელი მენტორებისგან.

„სტარტაპ კვირეული“ პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და თიბისი ბანკს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში იმართება. კვირეულის მიზანია საქართველოში სტარტაპეკოსისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა და ისეთი სივრცის შექმნა, სადაც სტარტაპ ეკოსისტემის მოთამაშეები დაამყარებენ საქმიან კავშირებს.

„სტარტაპ კვირეული“ შედეგზე ორიენტირებული პროექტია, რომელიც რეგულარულ სახეს მიიღებს და წელიწადში ორჯერ ჩატარდება ზუგდიდისა და თბილისის ტექნოპარკში.

პროექტი თბილისის შემდეგ უკვე ზუგდიდში გადაინაცვლებს, სადაც ანალოგიური ღონისძება 26-29 ივნისს გაიმართება.



ომზე

ომი თავშესაქცევ ცქვიტ ფისუნიად გეჩვენება, თუ იმის ბრჭყალთაგან თავის დაძვრენა იცი, მაგრამ როგორც კი გააბრაზებთ, მტრისას! დიდი უსიამოვნებანი გემუქრება.

* * *

საომარ კამპანიას რომ იწყებთ, არასოდეს არ უნდა იმედოვნებდეთ ომის მსვლელობის სიიოლესა და უგანგაშობას, ისევე, როგორც შორეულ ნაოსნობაში მიმავალმა არ უნდა იფიქროთ, რომ ზუსტად იცით ზღვის სიღრმე, თითქოს უკვე დასვინაღრებული, ანუ წინასწარ გასინჯული გქონდეთ, და ისიც უწყით, რა დინებებსა და ქარიშხალთ გადააწყდებით.

* * *

ვისაც ხელეწიფების თავის სასარგებლო სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა, ომს ვერასოდეს ვერ მოიგებს.

* * *

შეუძლებელია ომის მოგება ლოზუნგით — „სიფრთხილე უწინარეს ყოვლისა“.

* * *

ომს იგებს მხოლოდ მანევრირების მცოდნე. რაც უფრო ჭკუათმყოფელია გენერალიტეტი, მით უფრო მეტ მანევრს იყენებს და ამით საგრძნობლად ამცირებს სისხლისღვრას.

ხელისუფლებაზე, პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე

პარლამენტის მიზანია მუშტი-კრივის შეცვლა სიტყვიერი ბრძოლით.

* * *

საკმარისია მოსახლეობის კომუნიზმის დოზით გამასპინძლება, რათა იგი მიემშვიდობს ცივილიზებული ხელისუფლების რომელიც გნებავთ ფორმას, თუგინდ ყველაზე უფრო მკაცრს.

* * *

ბოლშევიზმი პოლიტიკა არ არის, ეს სნებაა, შავი ჭირია. როგორც ყოველი შავი ჭირი, ბოლშევიზმიც ულუმელად, უეცრად ჩნდება, საოცარი სისწრაფით ვრცელდება, საშინლად გადამდებია, თვითონ სნება კი მტანჯველად მიმდინარეობს და აუცილებლად სიკვდილით მთავრდება. როცა ბოლშევიზმი, როგორც ყველა მძიმე სენი, ბოლოს და ბოლოს, უკან იხევს, ადამიანები კიდევ კარგა ხანს გონს ვერ ეგებიან. გაივლის არცთუ მცირე დრო, სანამ იმათი თვალები კვლავ გონების ნათლით აციაგდებიან.

* * *

უინსტონ ჩერჩილის პირველი სტუმრობა მოსკოვში 1942 წლის აგვისტოში მოხდა და დამთავრდა გრანდიოზული „შარაფით“, ამას მოწმობს მაღალი რანგის ამერიკელი დიპლომატის ჩანაწერები. ზღაპრულ სუფრასთან „ორმა დიდმა მოღვაწემ შეძლო კავშირის დამყარება და ხელის ჩამორთმევა“, — ნათქვამია ჩერჩილის თანმხლებ საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის ალექსანდრ კადოგანის მოხსენებით ანგარიშში, რომელიც გაერთიანებული სამეფოს ეროვნულ არქივში ინახება და სულ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა მეორე მსოფლიო ომის დროინდელ და ცივი ომის დასაწყისის სხვა 600 დოკუმენტთან ერთად.

„შესაფერისი ვითარება განაპირობებდა იმას, რომ საუბარი ორმაგად შინაარსიანი გამოდგა, ვიდრე ოფიციალური მოლაპარაკებებისას, — აღნიშნავს კადოგანი. — ვითარება ისეთი იყო, როგორც ქორწილში“. კადოგანის სიტყვებით, ჩერჩილს თრობისგან თავი ასტკივდა, შეუძლებელია კრემლის ბანკეტზე რაიმე სხვა უსაშინლესის წარმოდგენა, მაგრამ ეს უნდა აგვეტანა“, — ამატებს იგი.

მოლაპარაკებები რთული იყო, ჩერჩილის ვიზიტი მიმდინარეობდა 1942 წლის 12-14 აგვისტოს, სტალინგრადზე გერმანელთა გახურებული შეტევისას. პრემიერი მოსკოვში კაიროდან და თეირანიდან ჩაფრინდა, მაღალი ფრენის ბომბდმშენით „ლიბერეირორით“, შედგა მოლაპარაკებების ორი რაუნდი მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით და მიმდინარეობდა მეტად ემოციურ ატმოსფეროში. პირველ შეხვედრაზე ყველაფერი შედარებით ნორმალურად იყო. საბჭოთა ლიდერი ძირითადად ქებით გამოეხმაურა ინგლისურ-ამერიკულ გეგმებს აფრიკაში გადასხმის შესახებ.

მეორე დღეს კი სტალინმა მოკავშირე ღიად დაადანაშაულა ბრძოლის სურვილის არქონაში, ჩერჩილმა უპასუხა, რომ ასეთ ტონს პატიობს მხოლოდ და მხოლოდ რუსული ჯარების პატივისცემისა და განსაკუთრებული გმირობის გამო.

„სტალინმა, მოწყვეტილად და ყელმოღერებით, ნახევრად მოხუჭული თვალებით გადმოანთხია შეურაცხყოფების ნიაღვარი, ჩვენ იმ ზომამდე მივედით, რომლის გადალახვის შემდეგ სახელმწიფო მოღვაწეებს უკვე აღარ ძალუძთ მოლაპარაკებების წარმოება“, — იხსენებდა ჩერჩილი.

ბრიტანეთის დელეგაციამ მოლაპარაკებები ჩაშლილად მიიჩნია და აბარგებას აპირებდა, მაგრამ, როგორც კადოგანის მოხსენებაშია ნათქვამი, 14 აგვისტოს ღამის 1 საათისათვის ის მოულოდნელად დაპატიჟეს სტალინის კრემლისეულ საცხოვრისში, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მასპინძელი სტალინი და მოლოტოვი. იმ დროისთვის ლხინი უკვე ოთხი საათის დაწყებული იყო, როგორც კი ჩერჩილმა თავისი თანაშემწე დაინახა, წამსვე შესჩივლა თავის ტკივილი.

„ასე ამბობდა ჯინსტონ ჩერჩილი“

„მე არასოდეს! არასოდეს! არასოდეს არ დავნებდები!“

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

„მაგიდა გაწყობილი იყო ყოველგვარი კერძებიანი თეფშებით დამთავრებული ძუძუს გოჭებით და უამრავი ბოთლით, — ამბობს კადოგანი, — სტალინმა მაიძულა, დამელია რაღაც ცეცხლოვანი, ალბათ, მრავალნახადი ჭაჭის არყის დალევა. სერ უინსტონი შეგნებულად შემოიფარგლებოდა წითელი კავკასიური ღვინით“.

მოლხენისას ჩერჩილი ქართული წარმომავლობის დიქტატორს შიგადაშიგ უსვამდა კითხვებს საშინაო პოლიტიკის შესახებ. ჩერჩილის კითხვა, თუ რა უყვეს „კულაკებს“, გამრჯე და მდიდარ გლეხებს, რომელთა გასანადგურებლადაც სტალინმა ფიცი დადო, მან მთელი გულახდილობით უპასუხა, რომ „კულაკებმა“ ციმბირში მიიღეს მიწა, მაგრამ ისინი სხვა ადამიანებს შორის ძლიერ არაპოპულარულები იყვნენო.

ბანკეტის მონაწილენი ძირთიადად განიხილავდნენ სხვა თემებს: ომისწინანდელ პოლიტიკურ ვითარებას და სამხედრო ტექნიკის სიახლეებს. სტალინმა მეგობრულად უწოდა ჩერჩილს „ბებერი საომარი ცხენი“. ის კი სსრკ-ს დაჰპირდა დახმარებას სატვირთო მანქანებით, რაც კიდეც იქნა შესრულებული. უშუალო საუბარი დილის 3 საათამდის გაგრძელდა, რის შემდეგაც ბრიტანელები გავიდნენ თავიანთ რეზიდენციაში და 4:15 წუთზე გაემგზავრნენ აეროდრომზე. სტალინმა სტუმრები მანქანებამდე მიაცილა და სამახსოვრო სურათიც გადაიღო.

ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ უცხოელი პარტნიორების მოშორება გულგრილობით და ამის შემდეგ მოულოდნელად გულითადობის გამოჩენა და რაღაც წვრილმანებზე დათანხმება სტალინის ჩვეულებრივი დიპლომატიურ პრაქტიკას წარმოადგენდა. ამაში არსებით როლს სასმელიც თამაშოდა. ბევრ მსოფლიო მოღვაწეს დაამახსოვრდა სტალინის სადღეგრძელოები. სტალინს უყვარდა სტუმრების ბოლომდე გამოთრობა, ქართული ტრადიციით ადღეგრძელებდა თითოეულ დამსწრეს და სმა უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ეს ჩერჩილთან იყო. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ბანკეტი გაგრძელდა დილის 5 საათამდე. რიბენტროპს მოუწია ებრაელი კაგანოვიჩის სადღეგრძელოს დალევა, კაგანოვიჩს კი — ჰიტლერისა. მინისტრი ბერლინში მოთავებული მთვრალი გაფრინდა და გაჭირვებით მოიწესრიგა თავი ფიურერთან შესასვლელად.

რიბენტროპის მეორე სტუმრობისას, 1939 წლის სექტემბრის ბოლოსთვის, სტალინმა თვალი მოავლო ორთავე დელეგაციის წევრებს, ყურადღება მიაქცია რიბენტროპის ადიუტანტ ესესელ შულცს, რომელიც მინისტრის სავარძლის უკან იდგა და პროტოკოლით ეკრძალებოდა დალევა, სტალინმა პირადად მიაწოდა ღვინით სავსე სირჩა და წარმოთქვა სადღეგრძელო „ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდის“, მერე კი უთხრა, რომ სამხედრო ფორმა მოუხდებოდა. ის კი დაჰპირდა, რომ შემდეგში სსრკ-ში ჩამოვიდოდა ფორმით და კიდეც შეასრულა სიტყვა 1941 წელს.

რიბენტროპმა ძლივს მიუსწრო დიდ თეატრში „გედების ტბის“ მეორე აქტს და სასმლისგან შეზარხოშებულმა თავისი სახელით გაგზავნა ყვავილებით სავსე კალათი გალინა ულანოვასთვის, თუმცა ელჩი ამაოდ არწმუნებდა, რომ ეს მოსკოვში არ იყო მიღებული.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №102-108

ბატონო რედაქტორო!

ამ დღეებში, ჩემი ყურადღება, თქვენს გაზეთში დასტამბულმა ბ-ნ კობა იმედაშვილის ერთმა წერილმა მიიქცია. მასში, საქართველოს ეროვნული გმირის — ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელისადმი რამდენადმე არასაკადრის დამოკიდებულებაზეა საუბარი. მართლაც, დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის საუკუნოვან იუბილეს აღვნიშნავთ, ქაქუცასი და მისნაირი მამულიშვილების ნაღვაწ-ნამოქმედარის წარმოჩენაა საჭირო, რათა მომავალი თაობებისთვის მუდამ სამაგალითოდ დარჩნენ... ამიტომ, მადლობა ბ-ნ კობას, დიდი პაპის ღირსეულ შთამომავალს, რომელმაც თავისი შეხმიანებით სხვა ღირსეულ ქართველთა სახელიც გაგვახსენა... და თუ შესაძლებლობა გექნებათ, ერთ სამაგალითო პიროვნებაზე მეც ვესაუბრები „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებს.

„მოკვდა ვაჟკაცურის სიკვდილით...“

კეთილშობილი ქართველი თავადი კოტე აფხაზი

ზემოთ სათაურად გამოტანილი სიტყვები პროფესორ ზურაბ ავალიშვილს ეკუთვნის, რომელიც მან გენერალ კონსტანტინე აფხაზის ჯალათთა ხელით დაღუპვის შეტყობისას წარმოსთქვა.

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი (1867-1923) დიდი ილიას დისწული იყო. ისტორიაში დასარჩენად ალბათ ესეც ეყოფოდა, მაგრამ გამორჩეულ გვარიშვილსა და განათლებულ პიროვნებას, გენიოსი ბიძის სახელით ბოროტად არასდროს უსარგებლია.

კ. აფხაზი, როგორც ერთ-ერთ დოკუმენტშია აღნიშნული - „შთამომავლობით ქართველი თავადების წარმომადგენელი იყო ტფილისის გუბერნიიდან“. მისი ერთ-ერთი წინაპარი, XVIII საუკუნის 40-იან წლებში, იძულებული გამხდარა, აფხაზეთიდან წამოსულიყო და კახეთის მეფე თეიმურაზ II-სთვის მფარველობა ეთხოვა. თეიმურაზს მისთვის სოფ. კარდენახში დიდი პატივით „მამული უბოძებია“ და დაუსახლებია. ამგვარად „გაკახელებული აფხაზისთვის“ ადგილის დედა (ოდაბადე) გვარად ქცეულა და შემდგომ, ღირსეული ადგილი დაუმკვიდრებიათ კახელ თავადთა შორის. საქართველოს ისტორიაში ამ გვარის არაერთი წარმომადგენლის სახელი იხსენიება, მათ შორის: სამხედროთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა, მრეწველთა, ხელოვანთა, ლიტერატორთა, დიპლომატთა და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ კახელ თავად-აზნაურთა სიაში ისინი IX ადგილზე არიან დაფიქსირებულნი, ხოლო ჭავჭავაძენი — XII-ზე. აფხაზთა გვარის წარმომადგენლები განსაკუთრებული ერთგულებით ემსახურებოდნენ სამეფო კარს. მათი პირუმტკიცობა და ორგულობა ისტორიულ საბუთებში არსადაა დადასტურებული.

„თავადი აფხაზისშვილი. ესენი არიან აფხაზეთიდან მოსრულნი, ოდეს იწყეს მამადიანობა (მაჰმადიანობა — მ. ს.) აფხაზთა. ესენი მოვიდნენ კახეთსა და მეფემან თეიმურაზ მიიღო თავადობისა და ხარისხთა აფხაზად წოდებულნი, რომელნიც იწოდებიან აწ აფხაზისშვილებად და მიუბოძა კარდანახს სახასო მამულნი და ყმანი და მუნ სცხოვრობენ მუნ ჟამიდან წელსა 1636-სა და არიან ერთ სახლად“, — ნათქვამია ერთ დოკუმენტში.

უფრო თუ დავკონკრეტდებით, ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ კოტე აფხაზის ძარღვებში, ერეკლე მეფის სისხლიც სჩქეფდა: მისი დიდედა, მამის მხრიდან — ანასტასია ერეკლეს შვილიშვილი იყო.

აი, ამ სახელოვანი საგვარეულოსა და გამორჩეული ოჯახის რძალი გამხდარა, ილია ჭავჭავაძის უფროსი და ნინო. ერთერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 1867 წლის 25 სექტემბერს, სოფ. კარდენახში, თავად ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზისა და ნინო გრიგოლის ასულ ჭავჭავაძის ოჯახში დაიბადა მესამე ვაჟი, რომელსაც კონსტანტინე (კოტე) დაარქვესო. სულ მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: გიგო, სიმონი, კოტე და მაკო.

პირველი დისშვილის დაბადებით გახარებულ ახალგაზრდა ილიას, ლექსით გადმოუცია თავისი განცდები და უფლისთვის უთხოვია:

„ღმერთო! მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მოძმე, ერთგული და მოყვარული“...

მოყვარულ ძიას ეს სურვილები ყველაზე რელიეფურად კოტე აფხაზის პიროვნებაში განივთდა.

კ. აფხაზმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, ხოლო შემდეგ თბილისის კადეტთა კორპუსის იუნკერი გახდა. მისი დამთავრების შემდეგ კი პეტერგურგის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებელი დაამთავრა და რუსეთის ჯარის ოფიცრის ცხოვრება დაიწყო. კავკასიაში დაბრუნებული არტილერიის მთავარი სამმართველოს გრენადერთა ბრიგადაში მსახურობს, თანამიმდევრულად ღებულობს სამხედრო წოდებებს. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ოფიცერთა შორის. ამის დასტურია 1892-1913 წლებში მისი სისტემატურად არჩევა ოფიცერთა ღირსების სასამართლოს წევრად.

კონსტანტინე აფხაზი მამასთან, თავად ნიკოლოზ შერმაზანის ძე აფხაზთან ერთად

კ. აფხაზმა, როგორც ერთ-ერთმა უახლოესმა სისხლისმიერმა ნათესავმა, ძლიერ განიცადა თავისი სახელოვანი ბიძის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული აღსასრული. იგი მთელს იმ სამგლოვიარო დღეებში ერთი წუთითაც არ მოშორებია უახლოესი ადამიანის ცხედარს და სამარის კარამდე თვალცრემლიანმა მიაცილა ის...

1913 წლის 13 იანვარს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ, რომელშიც 300-მდე კაცი მონაწილეობდა, კ.ნ. აფხაზი თავის წინამძღოლად (მარშლად) აირჩია. ამ ინსტიტუტის არსებობის მანძილზე (1802 წლის მაისიდან) ეს საპატიო პოსტი სულ 14 პიროვნებას ეკავა. კ. აფხაზი სწორედ ბოლო, მე-14 მარშალი იყო.

46 წლის კაცისთვის ამ არჩევითი თანამდებობის დაკავება დიდ ნდობასა და პატივისცემას ნიშნავდა თავისი წოდების ადამიანთა მხრიდან. ამიტომ იყო, რომ იგი თითქმის ექვსი წლის მანძილზე, თავის საქმიანობას ტანჯული სამშობლოსთვის სიკეთის მოტანისკენ წარმართავდა, რისთვისაც მოხერხებულად იყენებდა საკუთარ ავტორიტეტსა და საზოგადოებრივ მდგომარეობას. მას პირადი ნაცნობობა ჰქონდა რომანოვთა სამეფო სახლის წარმომადგენლებთან — იმპერატორ ნიკოლოზ II-თან, მის ბიძასთან, კავკასიაში ბოლო მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან, დიდ მთავარ კონსტანტინესთან და სხვებთან, აგრეთვე მაღალი რანგის სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწეებთან - მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან, საქართველოს ეგზარქოს პიტირიმთან, სახელმწიფო საბჭოს წევრებთან, ვითარცა იმპერიის ამ უმაღლეს ორგანოში არჩეულ წევრს საქართველოდან და ა.შ.

მრავალთაგან, აქ ერთი ფაქტის გახსენება შეიძლება...

1914 წლის 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. დაიწყო მანამდე არნახული მასშტაბის პირველი მსოფლიო ომი, რომლის ერთ მხარეს გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და მათი მოკავშირეები, ხოლო მეორეზე — ანტანტის სახელმწიფოები — რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და მათი მომხრეები დადგნენ. იმპერიის სამხრეთის საზღვრების დაცვა ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე იქცა ცარისტული ხელისუფლების საზრუნავად. ასე აღმოჩნდა საქართველოც ფრონტის წინა ხაზზე. ასეთ ვითარებაში, კერძოდ, 1914 წლის ნოემბრის ბოლოს, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ადგილზე გაცნობის მიზნით რუსეთის იმპერატორი და სამხედრო ძალების მთავარსარდალი ნიკოლოზ II თბილისში ჩამოდის. აქ გასაკვირველი არაფერია, თუმცა, დიდი ფუსფური შეიქმნა მეფისნაცვლის მეუღლის მიერ ინფორმირებულ თბილისის საბჭოში თავმოყრილ სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს შორის, რომლებიც ურცხვად აცხადებდნენ, თბილისი სომხური ქალაქიაო და ახლა სურდათ, დასტური თვით იმპერატორისგან მიეღოთ. ამისთვის გამზადებული ჰქონდათ ფულადი სახსრები და ბრძოლებში დაჭრილთა სამკურნალოდ ახლადგახსნილი საავადმყოფო არამიანცისა და სხვ. რა თქმა უნდა, იმპერატორისთვის დახვედრისა და მასპინძლობის პრიორიტეტიც მათი უნდა ყოფილიყო... მაგრამ სომხების ამბიციური ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. თავად-აზნაურობის წინამძღოლის კონსტანტინე აფხაზის ხელმძღვანელობით, თბილისის მაღალი წოდების რჩეულ წარმომადგენლებს სამჯერ მიეცათ შესაძლებლობა, პირისპირ შეხვედროდნენ იმპერატორს, სამივეჯერ კ. აფხაზის სიტყვაში გამოეთქვათ თავიანთი გულისნადები. პირველად ეს თბილისის რკინიგზის ვაგზლის დარბაზში დახვედრის დროს მოხდა, შემდეგ მეფისნაცვლის სასახლეში სამხედრო და სამოქალაქო მაღალჩინოსნებთან აუდიენციისას, ხოლო ბოლოს, დავით სარაჯიშვილის სახლში (დღევანდელი მაჩაბლის ქ. №14) გაშლილ მართლაც მეფურ სუფრასთან, სადაც იმპერატორს ჯიხვის უზარმაზარი მოვერცხლილი ყანწი მიართვა ქართული წარწერით და ქართველი ხალხისა და ქართველი თავად-აზნაურობის სახელით პირობა მისცა, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ მტერზე გამარჯვებისათვის...

როგორც ერთი იმდროინდელი წყარო იუწყება, — ხელმწიფეს უნებებია და იქ დამსწრეთათვის მიუმართავს: „მხურვალედ გმადლობთ, გმადლობთ, ბატონებო, გულითადი დახვედრისთვის და გულითა ვსვამ ტფილისის თავად-აზნაურობის სადღეგრძელოს“.

ეს ისტორიული ფაქტია და სიმართლეს ვერავინ გაექცევა. ასეთი დახვედრა-შეხვედრები და ქართულ სუფრასთან არაერთი საჭირბოროტო საქმის გადაწყვეტა, ჩვენი ეროვნული ტრადიციებიდან მომდინარეობდა. პირდაპირი გაგებით ეს როდი ნიშნავდა რუსეთის ინტერესებისათვის თავის განწირვას, საკუთარის დავიწყების ხარჯზე. საქმე საკუთრი მიწების დაცვას ეხებოდა და ერის მოწინავე ნაწილისთვის უპირველეს საფიქრალად ის ქცეულიყო, თუ როგორი შედეგით დამთავრდებოდა იგი ჩვენი სამშობლოსთვის...

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მაღალი დონის შეხვედრების დროს გამართული საუბრების შედეგი იყო ის, რომ მალე სერიოზული გადაადგილებები მოხდა კავკასიის ხელმძღვანელობის უმაღლეს ეშელონებში: როგორც იქნა მეფისნაცვლობიდან გადააყენეს ქართველთმოძულე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი... ათი წლის მანძლზე მან და მისმა მეუღლემ ათეულობით უმძიმესი ჭრილობა მიაყენეს ქართველ ხალხს და საქართველოს ისედაც დაფლეთილ სხეულს... ქართველი ხალხისთვის სულ ერთი არ იყო, თუ ვინ დაიკავებდა ამ უმაღლეს ადმინისტრაციულ პოსტს... ამიტომ დიდი მთავრის ნიკოლოზ რომანოვის დანიშვნა კავკასიაში მეფის ნაცვლად და კავკასიის ფრონტის მთავარ სარდლად, განსაკუთრებით სასიამოვნო იყო კ. აფხაზისათვის, რომელსაც მასთან დიდი ხნის ახლო ნაცნობობა აკავშირებდა... თუმცა ამ გადაადგილების, ისე როგორც მიტროპოლიტ პიტირიმ ოკნოვის საქართველოს ეგზარქოსად გამწესების ამბავი, გაშლილ სუფრასთან კი არ შეუტყვია კ. აფხაზს, არამედ შორს, დასავლეთის ფრონტზე მყოფს, რადგან იგი ნამდვილ სამხედრო სამსახურში დაბრუნებული, პოლკოვნიკის ჩინით მამაცურად იბრძოდა და რამდენიმე ორდენითაც იყო დაჯილდოებული...

აქვე შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში, თავისი არსებობის 117 წლის მანძილზე (1801 წლის მარტი - 1917 წლის მარტი), მასში სულ რამდენიმე ქართველი შედიოდა (კუტაისოვი, ბებუთოვი, ორბელიანი, მელიქიშვილი, ბაგრატიონ-იმერეტინსკი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ერისთავი და, ბოლო, აქაც კოტე აფხაზი აღმოჩნდა).

თავად-აზნაურთა წინამძღოლად ყოფნის დროს კ. აფხაზს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირადი წვლილი აქვს შეტანილი ისეთი ეროვნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში, როგორებიც იყო: კახეთის რკინიგზის მშენებლობის გასრულება; აჭარელთათვის I მსოფლიო ომის დროს „ღალატის“ ბრალდების მოხსნა; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაში მონაწილეობა; საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის ინიციატივა და თავად-აზნაურთა ბანკის მიერ დაგროვებული მილიონობით ღირებულების ქონების ქართველი ერისათვის შენარჩუნება; თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში ივანე ჯავახიშვილისათვის მხარში დგომა; აკაკი წერეთლის ნეშტის მთაწმინდაზე დაკრძალვის ინიციატივა; საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებაში თანაავტორობა, საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში ქმედითი მონაწილეობის მიღება; ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ სამშობლოში დარჩენა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში ჩადგომა; გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეობა; მოწამეობრივი აღსასრული სისხლიანი რეჟიმის მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე სხვა მამულიშვილებთან ერთად...

გელა საითიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

(დასასრული იქნება)

ქართველი და ოსი ახალგაზრდების თანამშრომლობის საგზაო რუკა

ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ

სოსლან ტადტაევი 24 წლისაა. დაიბადა ცხინვალში. დაიბადა მაშინ, როცა მამამისს, ტამერლან ტადტაევს, ხელში ავტომატი ეჭირა და იბრძოდა. მას შემდეგ ძირითადად შეიარაღებულ ხალხს ხედავდა. მოგვიანებით ტამერლანი ომით დაიღალა და ავტომატის ნაცვლად ხელში კალამი აიღო. წერს მოთხრობებს ომზე, ომის სისასტიკესა და მშვიდობის აუცილებლობაზე. ქართულ-ოსური სამოქალაქო დიალოგის ფარგლებში გაიცნო ქართველი მწერლები დათო ტურაშვილი და ლაშა ბუღაძე. მათთან ერთად ლიტერატურულ პროექტში მიიღო მონაწილეობა.

ქართველი მწერლები ტამერლანის მოთხრობების თარგმნას და გამოცემას აპირებენ, მაგრამ ეს, ალბათ, სხვა რეპორტაჟის თემაა. დავუბრუნდეთ სოსლანს. სოსლანმა მამას მიბაძა და 4 წლის წინ ქართულ-ოსურ პროექტში, „სამშვიდობო ექსპრესში“, მიიღო მონაწილეობა. ქართველი და ოსი ახალგაზრდები ევროპის ქვეყნებში ავტობუსით მოგზაურობდნენ და ეცნობოდნენ ევროპის გამოცდილებას, კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, კულტურას, ტრადიციებსა და განათლების სისტემას. სოსლანს მაშინვე გაუჩნდა ევროპული განათლების მიღების სურვილი, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი ჩანდა, რადგან ოს ახალგაზრდებს ორი არჩევანი ჰქონდათ — მიეღოთ განათლება ცხინვალის უნივერსიტეტში ან რუსეთის მიერ აბიტურიენტებისთვის გამოყოფილი კვოტებით სწავლა მოსკოვში, პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში გაეგრძელებინათ. სოსლანის აზრით, ევროპული განათლება დღეს ყველაზე ხარისხიანი განათლებაა, რაც მის თანატოლებს მსოფლმხედველობის განვითარების საშუალებას მისცემს: რამდენიმე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ქართველი და ოსი ახალგაზრდები თბილისში ერთმანეთს შეხვდებოდნენ და ერთობლივ პროექტებზე იმუშავებდნენ. მანამდე ისინი ძირითადად მესამე ქვეყანაში ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს. იმუშავეს და შექმნეს ქართულ-ოსური ახალგაზრდული თანამშრომლობის საგზაო რუკა, რომელიც ქართულ-ოსური „სამოქალაქო ფორუმის“ პროექტის, „ცვლილებათა ხედვის“ ნაწილია. საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში გიორგი ტუმასიანი ამ პროცესში ჩართული იყო. მისი აზრით, ოსი და აფხაზი ახალგაზრდები გაიზარდნენ სტერეოტიპებით გაჯერებულ და პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფ საზოგადოებაში, ამიტომ პირადი შეხვედრები, ფორმალური და არაფორმალური განათლება ამ სტერეოტიპების ნგრევას უწყობს ხელს: განათლების პრიორიტეტულად დასახვა მნიშვნელოვანია. საკმაოდ დიდი ხანია, მოწყვეტილები ვართ განათლების სივრცეს, სადაც ოსები და ქართველები ერთად იღებენ განათლებას, ამიტომ ამას ექნება სამშვიდობო დანიშნულება, ეს იქნება ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართველებისა და ოსების ურთიერთობის დარეგულირების საკითხში...

„ეს საზოგადოებები, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ჩაკეტილია, განსაკუთრებით ახალგაზრდები ჩვენგან იზოლირებულად იზრდებიან და, შესაბამისად, იმ საზოგადოებაში შექმნილი ნარატივები, იქნება ეს ადგილობრივი თუ მხარდაჭერილი რუსეთის მიერ, ეს ნარატივები ძალიან სერიოზულად ვითარდება. მე ვფიქრობ, ამ სტერეოტიპების დასამსხვრევად ყველაზე კარგი საშუალებაა შეხვედრა. პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, რომ რამდენიმე საათში რადიკალურად შეიცვალა მათი წარმოდგენები ქართველებზე, წარმოდგენები, ზოგადად, საქართველოზე. ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში გონებაგახსნილი, თავისუფლად მოაზროვნე, კრეატიული თაობა თუ წამოვა ახალგაზრდების, რასაც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს განათლება დასავლეთში, ეს თაობა იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი რუსული ნარატივებისგან. როგორც კი დაიწყებენ ფიქრს იმაზე, რომ წარსულში ცხოვრება, საითკენაც რუსეთს მიჰყავს საქმე, არ არის გამოსავალი და ჩვენ უნდა მომავლისკენ ვიყურებოდეთ, თუ შემდგომ როგორ ვიცხოვროთ ერთად და რა პერსპექტივები არის, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. მათი საზოგადოების განვითარება ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტია. ჩვენ ოს, აფხაზ ახალგაზრდებს უნდა გავუხსნათ შესაძლებლობები, რომ დაინახონ მსოფლიო და მიხვდებიან, რომ მსოფლიო ნამდვილად არ იწყება და არ მთავრდება რუსეთით და საქართველო არის გზა მათთვის ახალი შესაძლებლობებისკენ“.

ნაირა ბეპიევა დიდი ხანია, თბილისის უნივერსიტეტში ქართულ-ოსური ურთიერთობების სამეცნიერო საკითხებზე მუშაობს. მისი აზრით, ნდობის აღდგენისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში ყველა თაობის ადამიანმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ახალგაზრდებს კი საქართველოს ახალი სამშვიდობო ინიციატივით განათლების ახალი პერსპექტივა ეხსნებათ: **„აუცილებელია ახალგაზრდების ჩართულობა ამ პროცესში, რადგან მათთვის ეს არის ახალი ხილი. იმათ ხომ არ უმუშავიათ აქეთ ახალგაზრდებთან და აი, ამ გზით, განათლებისა და მეცნიერების გზით მათ შეუძლიათ, რომ ძალიან დიდი როლი ითამაშონ ამ მნიშვნელოვან საქმეში. განათლების პრიორიტეტულად დასახვა მნიშვნელოვანია. საკმაოდ დიდი ხანია, მოწყვეტილები ვართ განათლების სივრცეს, სადაც ოსები და ქართველები ერთად იღებენ განათლებას, ამიტომ ამას ექნება სამშვიდობო დანიშნულება, ეს იქნება ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქართველებისა და ოსების ურთიერთობის დარეგულირების საკითხში“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ფორუმის“ ორგანიზებითა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფინანსური მხარდაჭერით ქართულ-ოსური ახალგაზრდული პროექტის, „ცვლილებათა ხედვის“, შედეგებისა და აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოცემული „ქართულ-ოსური ახალგაზრდული თანამშრომლობის საგზაო რუკის“ პრეზენტაცია გაიმართა. ამ პრეზენტაციას ოსი ახალგაზრდებიც დაესწრნენ. საგზაო რუკის მიხედვით, ახალგაზრდები ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ფორმალურ, არაფორმალურ და დისტანციურ განათლებას მიიჩნევენ. სამოქალაქო ფორუმის თავმჯდომარე თემურ არბოლიშვილი ამბობს, რომ ამ შედეგამდე ახალგაზრდები წლების განმავლობაში მიდიოდნენ. შედეგი ნელა, მაგრამ მაინც დადგა, თუმცა გასაკეთებელი კიდევ ბევრია: **„ჩვენ, ქართველ და ოს ახალგაზრდებს, ყოველთვის გვქონდა მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ შეგვემუშავებინა ერთიანი სამოქმედო გეგმა და დაგვეფიქსირებინა, სად შეგვიძლია თანამშრომლობა და რისი რესურსები აქვს ქართველ და ოს ახალგაზრდობას იმისთვის, რომ იმუშაოს მშვიდობისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით. ამ წლების განმავლობაში ვაგროვებდით იმ ინიციატივებს, რომლებსაც სხვადასხვა ორგანიზაციები ახორციელებდნენ. მიმართულებებს ვხვეწდით, ვიკვლევდით, ზოგადად, ოსი ახალგაზრდების რესურსებს, მათი ჩართულობის შესაძლებლობებს და როდესაც ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, დავიწყეთ გრძელვადიან პროგრამაზე მუშაობა“.**

ცხინვალსა და სოხუმში სოსლანს და მის თანატოლებს საქართველოს ახალი სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ხარისხიანი განათლების მისაღებად ალტერნატიულ არჩევანს სთავაზობს: გამარტივებული და სტატუსნეიტრალური ფორმატით დიპლომის აღიარება და სწავლის გაგრძელება ევროპის სასწავლებლებში სხვადასხვა გაცვლითი პროგრამებით. გარდა ამისა სახელმწიფო ასეთ სტუდენტებს, განათლების საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით ინდივიდუალურ დაფინანსებასაც სთავაზობს. ჯერჯერობით მსურველთა რაოდენობა დიდი არ არის. პროექტის ავტორებმა იციან, რომ პროცესი ხანგრძლივი იქნება და ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაგრამ დარწმუნებულნი არიან, რომ პირველ მერცხალს აუცილებლად სხვა მერცხლებიც მოჰყვებიან.

გოგა აფციაური

სატენდერო მოწვევის დანართი

თარიღი:	**23 მაისი, 2018**
სესხის №. და სახელწოდება	**2843-GEO: საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა - ტრანში 3 (დამატებითი დაფინანსება)**
კონტრაქტის №. და სახელწოდება	**RCIP/CW/NCB-01: ქობულეთის შემოვლითი გზის განათება**
სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა	**4 ივნისი 2018 16:00 სთ (ადგილობრივი დროით)**

6. გთხოვთ თქვენი სატენდერო წინადადება წარმოადგინოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-4 სართული, კანცელარია
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

• **არაუგვიანეს 2018 წლის 4 ივნისისა 16:00 (ადგილობრივი დროით)**
• სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიასთან ერთად

სატენდერო წინადადებები საჯაროდ გაიხსნება სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ, მონაწილეთა წარმომადგენლების თანდასწრებით შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის 12
სართული/ოთახის ნომერი: მე-3 სართული, საკონფერენციო დარბაზი
ქალაქი: 0160 თბილისი
ქვეყანა: საქართველო

აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი სატენდერო მოწვევის არაოფიციალურ თარგმანს. შესაბამისად, უზუსტობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება სატენდერო მოწვევის ინგლისურ ვერსიას.

ADB

INVITATION FOR BIDS

(Corrigendum 3 IFB, original IFB publication date is March 23, 2018)

Date:	May 23, 2018
Loan No. and Title:	2843-GEO: Road Corridor Investment Program - Tranche 3 (Additional Financing)
Contract No. and Title:	RCIP/CW/NCB-01: Lighting of Kobuleti Bypass Road Km 0+000 – 12+400
Deadline for Submission of Bids:	Extended to June 4, 2018, 16:00 hours (local time)

6. Deliver your bid to:
Roads Department of the Ministry of Regional Development
and Infrastructure of Georgia.
Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia
• on or before the deadline: June 4, 2018, 16:00 local time
• together with a Bid Security as described in the Bidding Documents.

Bids will be opened immediately after the deadline for bid submission in the presence of Bidders' representatives who choose to attend at the following address:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: Al. Kazbegi Avenue #12
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

რატომ არ ჩქარობს ბრიუსელი უვიზო რეჟიმის შეჩერებას საქართველოსთვის?

„მაშინ როცა მოლდოვას მოქალაქეებმა ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილების უფლება 2014 წლიდან მიიღეს, ქართველებსა და უკრაინელებს იგივე უფლება მხოლოდ 2017 წლის მარტიდან მიეცათ. მათ ამდენი ხნის ლოდინი არა მხოლოდ იმიტომ დასჭირდათ, რომ გვიან შეასრულეს ევროკავშირის მოთხოვნები, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ ევროკავშირი აჭიანურებდა უფლების მიცემას. ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მთავრობა მოითხოვდა, რომ ბრიუსელს თავდაპირველად უნდა შეემუშავებინა და მიეღო უვიზო რეჟიმის დროებითი შეჩერების (ან გაუქმების) მექანიზმი, რომელიც აუცილებელი იყო უვიზო რეჟიმის ბოროტად სარგებლობის თავიდან ასაცილებლად. ეს მექანიზმი გასული წლის მარტში დამტკიცდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეს უვიზო რეჟიმი ჯერ თბილისმა, შემდეგ კი კიევმა“ — ასე იწყება გერმანული რადიოსადგურის, „Deustsche Welle“-ს მიერ იური შეიკოს ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის შემოკლებულ ვერსიას დღეს გთავაზობთ:

საქართველოს მოქალაქეების მხრიდან უვიზო რეჟიმის შესაძლო დარღვევებზე ყველაზე მეტად გერმანია წუხდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ბერლინს ქართველების კრიმინალური მოქმედების თაობაზე მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა: სწორედ ქართველებმა შექმნეს კრიმინალური დაჯგუფებები ბინებისა და მაღაზიების ძარცვის მიზნით. ამის შესახებ გერმანული მასმედია თითქმის ყოველდღიურად იტყობინებოდა. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება. გარდა ამისა, მაშინაც და ახლაც — ბოლო დრომდე — საკმაოდ ბევრი ქართველი ითხოვს პოლიტიკური თავშესაფრის მიღების უფლებას. ისინი სარგებლობენ გერმანული კანონმდებლობით, განცხადების რეგისტრირების შემდეგ რჩებიან გერმანიაში და დანაშაულებრივი ქმედებით არიან დაკავებულნი. სხვათა შორის, უსაფრთხოების დონის გაურესება და რისკების ზრდა, კერძოდ, დამნაშავეობის ფაქტების მატება სწორედ ის ერთ-ერთი პირობაა იმ ოთხიდან, რომლის დაფიქსირების შემთხვევაში უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი უნდა ამოქმედდეს.

ევროკავშირში მოქმედი ორგანიზებული დამნაშავეობის ქართული დაჯგუფებების მხრიდან ვიზალიბერალიზების რეჟიმით სარგებლობის შესახებ ინფორმაციის მიუხედავად, არც ბრიუსელი და არც ბერლინი თბილისთან მიმართებით მკაცრ ზომებს არ იღებენ.

ჯერ კიდევ 2018 წლის თებერვალში გერმანიის ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის ფედერალური მხარის მთავრობამ მოითხოვა, რომ გერმანიის ხელისუფლებას საქართველოს მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი შეეჩერებინა, მაგრამ ბერლინს ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს.

როგორც „დოიჩე ველეს“ ევროკომისიის პრეს-მდივანმა ანიკა ბრაიდჰარდტმა აცნობა, მის უწყებას ჯერჯერობით არანაირი დოკუმენტი ან თხოვნა არ მიუღია უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის გასაშვებად. ამასთან, მან აღნიშნა, რომ „ევროკომისია საქმის კურსშია პრობლემის თაობაზე და ჩვენ უკვე გამოვხატეთ შეშფოთება საქართველოს ხელისუფლების წინაშე“.

ბრიუსელში ირწმუნებიან, რომ თბილისი მზად არის, მიიღოს კონკრეტული ზომები საქართველოდან ევროკავშირში არარეგულირებული მიგრაციის მოწესრიგების თაობაზე. გარდა ამისა, ევროკომისიაში მიესალმებიან საქართველოსა და გერმანიის მთავრობების ორმხრივ კონტაქტებს ამ საკითხში. „ევროკომისია მზადაა საქართველოს მხარდასაჭერად: საგარეო საზღვრების დაცვის ევროსააგენტოსთან ერთად ჩვენ განვიხილავთ ეფექტურ ზომებს არარეგულირებული მიგრაციის საფრთხის შემცირებისათვის“, — აღნიშნა „დოიჩე ველეს“-თან საუბრისას ანიკა ბრაიდჰარდტმა.

და მაინც, წესით და რიგით, ქართველი მოქალაქეების მიერ უვიზო რეჟიმის პირობათა დარღვევის ფაქტები თითქოსდა საკმარისია ვიზალიბერალიზების შესაჩერებლად, მაგრამ ბრიუსელში რაიმე ოფიციალური განცხადება ამის შესახებ არ გაკეთებულა. ამბობენ, რომ შეჩერების მექანიზმი საკმაოდ მკაცრია და ამიტომ ევროკავშირი სიფრთხილეს იჩენს.

„დოიჩე ველემ“ სიტუაციის გასარკვევად ევროპარლამენტის რამდენიმე დეპუტატს კითხვით მიმართა, თუმცა მათ ამ დელიკატურ თემაზე საუბრისაგან თავი შეიკავეს. დათანხმდა მხოლოდ ავსტრიელი ლუკას მანდლი „ევროპის სახალხო პარტიის“ ფრაქციიდან, თუმცა არც მას არ უთქვამს მაინცდამაინც რაიმე კონკრეტული. „ჩვენ საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობა გვსურს, რაც ორივე მხარისათვის სასარგებლოა“, — უთხრა მან „დოიჩე ველეს“. პოლიტიკოსმა თავი აარიდა კონკრეტულ პასუხს კითხვაზე — „ხომ არ მოვიდა დრო შეჩერების მექანიზმი საქართველოს მიმართ ამოქმედდესო“ — და აღნიშნა, რომ შეჩერების მექანიზმი სანქციას წარმოადგენს: „კი, ევროკავშირს აქვს უვიზო რეჟიმის შეჩერების უფლება, მაგრამ დარღვევის ფაქტები ჩვენს მიერ უნდა დამტკიცდესო...“.

კითხვას — არის თუ არა უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი ნამდვილად კარგი ზომა პროფილაქტიკისათვის — ლუკას მანდლმა ასე უპასუხა: „როგორც კი შეჩერების მექანიზმს გავუშვებთ, ის თავის ეფექტურობის დემონსტრაციას ყველა მიმართულებით მოახდენს. ყველა დაინახავს და დარწმუნედება იმაში, რომ ევროკავშირი არა მარტო ამბობს, არამედ აკეთებს კიდეც“.

„DEUSTSCHE WELLE“
(გერმანია)

თეირანი საქართველოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა

რატომ გაუყინა თბილისმა ირანის მოქალაქეებს საბანკო ანგარიშები?

როგორც ირანის ფინანსური და ბიზნესწრეების ინტერესების გამომხატველი საქმიანი გაზეთი „Financial Tribune“ იტყობინება, ირან-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა უკმაყოფილოა საქართველოს მიერ მიღებული ამასწინანდელი გადაწყვეტილებით, რომელიც ქართულ ბანკებში ირანის მოქალაქეების ანგარიშების გაყინვას ითვალისწინებს.

„ჩვენ ვცდილობთ და ძალისხმევას არ ვაკლებთ იმას, რომ ირანის მოქალაქეების საბანკო ანგარიშების დებლოკირება მოხდეს“, — განაცხადა ირან-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელმა სეიდე ფატემეჰ მუგიმმა. „ჩვენ ეს საკითხი საქართველოს მთავრობის წინაშე დავაყენეთ, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი პასუხი მივიღეთ. ჩვენ ასევე ვთხოვეთ თბილისში არსებულ ირანის საელჩოს, რომელმაც თბილისის მიერ ირანის მოქალაქეების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი საქართველოს საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებით ახსნა. გარდა ამისა, მისი აზრით, აშკარაა, რომ საქართველოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა ირანის წინააღმდეგ მიმართულმა აშშ-ის ზეწოლამაც.

ამას წინათ საქართველოს ერთ-ერთმა ფინანსურმა სტრუქტურამ მიიღო დირექტივა, რომლის თანახმად, ირანის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ბინადრობის მოწმობა არ აქვთ, საბანკო მომსახურება შეუწყდებათ. საქართველოს გამკაცრებული საიმიგრაციო კანონმდებლობის შესაბამისად, მუდმივი ბინადრობის მოწმობა მხოლოდ იმ უცხოელ მოქალაქეებს მიეცემათ, ვინც ქვეყანაში არანაკლებ 10 წელი იმყოფება.

„FINANCIAL TRIBUNE“ (ირანი)

სტუმრების მისაზიდად სასტუმრომ სახურავზე თვითმფრინავი განათავსა

ავსტრიაში ერთ-ერთმა სასტუმრომ **სტუმრების მისაზიდად ორიგინალურ ხერხს მიმართა.** როგორც უცხოური მედია წერს, ავსტრიის ქალაქ გრაციში მდებარე სასტუმროს Novapark -ის მენეჯმენტმა გადაწყვიტა, სასტუმროს სახურავზე თვითმფრინავი განთავსებინა. სასტუმროს ადმინისტრაციამ „ილ-62“-ის სახურავზე განთავსების კადრები ინტერნეტით გაავრცელა, რასაც საკმაოდ ბევრი გამოხმაურება მოჰყვა.

ბილ გეითსმა საზაფხულო კითხვისთვის წიგნების სია შეადგინა

ბიზნესმენმა და **კორპორაცია „Microsoft“-ის დამფუძნებელმა, ბილ გეითსმა თავის ბლოგზე გამოაქვეყნა იმ წიგნების სია, რომელსაც ის უწევს რეკომენდაციას 2018 წლის საზაფხულო საკითხავად.**

ბიზნესმენი თავის ხელმომწერებს ურჩევს ყურადღება მიაქციონ 5 წიგნს. ამ სიაში შევიდნენ **„ლეონარდო და ვინჩი“, „ყველაფერს აქვს მიზეზი, და სიცრუე, რომელიც მე მომწონს“, „ლინკოლნი ბარდოში“, „დიდი ისტორია ყველაფრის“ და „ფაქტობრიობა“. „როდესაც ამ სიას ვადგენდი, მე გავიგე, რომ ზოგიერთი მათგანი ეხება და წინწევს ისეთ სერიოზულ საკითხებს, როგორიცაა: როგორ შეიძლება ადამიანი გენიოსი გახდეს, რატომ ხდება ცუდი ამბები კარგი ადამიანების ცხოვრებაში, საიდან მოვიდა კაცობრიობა და საით მივემართებით“** — წერს გეითსი.

პალესტინა ქიმიური იარაღის კონვენციას შეუერთდა

კონვენცია ძალაში შევა 2018 წლის 16 ივნის. ნათქვამია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის განცხადებაში.

„პალესტინის სახელმწიფომ, 2018 წლის 17 მაისს წარადგინა დოკუმენტი ქიმიური იარაღის კონვენციასთან შეერთების შესახებ გაეროს გენერალურ მდივანთან ერთად, რომელიც კონვენციის ნდობით აღჭურვილი პირია. ის ძალაში შევა პალესტინის სახელმწიფოსთვის 2018 წლის 16 ივნისს“, — ნათქვამია ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის პრეს-რელიზში.

სტეისი აბრამსი შესაძლოა, აშშ-ის ისტორიაში პირველი აფროამერიკელი გუბერნატორი გახდეს

მისი **კანდიდატურა ჯორჯიის შტატის არჩევნებში წამოაყენა დემოკრატიულმა პარტიამ. შიდაპარტიულ მარათონში მან გადაუსწრო სტეისი ევანს.**

სთეისი აბრამსი იყო შტატის წარმომადგენელთა პალატის უმცირესობის ლიდერი. მას მხარი დაუჭირეს ქალთა გაერთიანებებმა, ასევე ყოფილმა პრეზიდენტობის კანდიდატებმა ჰილარი კლინტონმა და ბერნი სანდერსმა. სტეისი აბრამსი ეფუძნება უმცირესობასთან დიალოგის სტრატეგიას.

რათა გახდეს პირველი აფროამერიკელი გუბერნატორი, აბრამსმა უნდა დაამარცხოს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი, რომლის სახელიც ივლისში განისაზღვრება. ნებისმიერ შემთხვევაში ის უკვე შევიდა ისტორიაში როგორც პირველი გამარჯვებული გუბერნატორობის კანდიდატი. 2000 წლიდან გუბერნატორის არჩევნებში უცვლელად იმაჯვებენ რესპუბლიკელები.

◎ მძლეთამძლე

დღეს საეჭაპო ბრძოლაა!

სეკივაკე ტოჩინოშინმა მაისის ბაშოზე მეთერთმეტე გამარჯვება მოიპოვა და იმპერატორის თასისკენ კვლავ ასპროცენტიანი შედეგით მიიწევს. გუშინ ლევან გორგაძემ მეხუთე მაეგაშირას – იაპონელ კოტოშოგიკუს აჯობა, რომელთანაც აქამდე 31 შეხვედრიდან მხოლოდ 7 ჰქონდა მოგებული.

ქართველი სეკიტორი მორიგ ბრძოლას დღეს კიდევ უფრო უხერხულ მეტოქესთან – იოკოძუნა ჰაკუჰოსთან გამართავს, რომელთანაც ბაშოებზე ურთიერთშეხვედრებში უშანსოდ გამოიყურება – 0:25. მონღოლი გოლიათი მიმდინარე სუპერტურნირზე ტოჩინოშინის უახლოესი მდევარია კიდევ ერთ იოკოძუნასთან კაკურიუსთან ერთად – ორივეს 10-10 ქულა აქვს.

რანგით მეორე, ძურიო დივიზიონში მოასპარეზე გაგამარუმ კი მაკუუჩი დივიზიონში ჩაატარა ბრძოლა, სადაც ერთ-ერთი ტრავმირებული უმაღლესლიგელი ჩაანაცვლა. სეზონის მესამე ბაშო თეიმურაზ ჯუღელისთვის წარუმატებელია და ეს მეთერთმეტე ტურმაც დაადასტურა. 200-კილოგრამიანი ქართველი გიგანტის ანგარიშზე ორი გამარჯვების წილ უკვე ცხრა მარცხია.

გიორგი ზოთაძე

◎ ცხელი ყინული

ოკეანის გაღმა-გამოღმა

ამ დღეებში ჰოკეის სამყაროში რამდენიმე საყურადღებო ამბავი მოხდა და მიუხედავად იმისა, რომ გარეთ უკვე გვიანი გაზაფხულია და დუღილის ტემპერატურის ნიშნულს ქართულ სპორტში განვითარებული მოვლენებიც მაღლა სწევს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათ შესახებ თქვენც გაუწყოთ ორიოდე სიტყვით.

უპირველესად, აღსანიშნავად გვესახება ის ფაქტი, რომელიც ოკეანის გაღმა დაფიქსირდა. საუბარია ნაციონალური ჰოკეის ლიგის დასავლეთ კონფერენციის დებიუტანტ „ვეგასზე“, რომელმაც ელიტაში გატარებულ პირველივე სეზონში ფინალის საგზური მოიპოვა. NHL-ის ხანგრძლივ მატიანეში უწინ სულ ორი ანალოგიური მიღწევა, ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან, „ტორონტოსა“ და „სენტ ლუისს“ ეკუთვნით, თუმცა, მათი მცდელობა დასკვნით რაუნდში წარუმატებლად დასრულდა.



სატიტულო ბრძოლაში ნევადელთა მომავალი მეტოქის ვინაობა „ტამპასა“ და „ვაშინგტონის“ საპლეიოფო დუელის დამატებითი, მეშვიდე შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, ვინაიდან აღმოსავლეთ კონფერენციის რჩეულთა სერიაში ჯერჯერობით ანგარიში თანაბარია – 3:3.

დავძენთ, რომ გადამწყვეტი მატჩები 29 მაისს დაიწყება და საჭიროების შემთხვევაში 14 ივნისამდე გასტანს.

რაც შეეხება დანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატს, მის შედეგებზე, ტრადიციისამებრ, სწორედ ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩაღებულმა ბატალიებმა იქონია გარკვეულწილად გავლენა, რადგან გაჭიანურებული საკლუბო ციებ-ცხელების გამო ეროვნულ ნაკრებთა მთელმა რიგმა ვარსკვლავებმა „ძველ სამყაროში“ დროულად ჩამოსვლა და თანამემამულეთათვის დახმარების გაწევა ვერ შეძლეს.

ასეთ ვითარებაში საუკეთესოდ გამოიყურებოდა შვედეთის ნაკრები, რომელიც ზედიზედ მეორედ, სულ კი მეთერთმეტედ ავიდა ტახტზე. მოიერიშე პარტნიორთა შედეგიანი თამაშის ფონზეც კი განსაკუთრებულად უნდა შეფასდეს „ტრე კრუნურის“ მორიგ ტრიუმფში ამ გუნდის დაცვისა და, მეტადრე, მეკარე ნილსონის მიერ შეტანილი წვლილი, რომლებიც, სავსებით ლოგიკურად, პრესტიჟული ფორუმის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

არანაკლები ქება დაიმსახურა „შვეიცარიულმა ციხე-სიმაგრემ“, რომელმაც გმირული ძალისხმევით გათამაშებიდან ფინელთა და თვით კანადელთა გამოთიშვა შეძლო, ხოლო ფინალში სკანდინავიელთა წინააღმდეგ მცირედი დააკლდა სასწაულამდე – ძირითადი დროის ფრედ – 2:2 დასრულების შემდეგ ისინი მრისხანე მეტოქესთან მხოლოდ ბულიტებით დამარცხდნენ.

ალბათ, იკითხავთ – კი, მაგრამ გამობრძმედილი ფავორიტები – ჩეხეთი, აშშ და მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი სადღა არიანო? ისინიც ვიკინგების სამშობლოში იყვნენ, ეპიზოდურად გაბრწყინებას ახერხებდნენ კიდეც, მაგრამ... ხომ გსმენიათ, აღმართს დაღმართი მოსდევსო, სტაბილურობას კი ყველას ვერ მოსთხოვ, თანაც მაშინ, როცა თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესთან გვაქვს საქმე.

ისიც უნდა ითქვას, რომ შვედეთი და შვეიცარია მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს ოლიმპის ზღურბლთან, სულ კი ამ უკანასკნელმა მესამედ უწია ფინალს, მაგრამ გვირგვინოსანი ჯერაც ვერ გახდა.

და ბოლოს, პერსპექტივის შესახებ: გაისად 10-26 მაისს მომდევნო მუნდიალს სლოვაკეთის ქალაქები – ბრატისლავა და კოშიცე უმასპინძლებს. ამ დღეებში გამართულმა წილისყრამ მისი მონაწილენი ასე „დაახარისხა“:

„ა“ ჯგუფი – სლოვაკეთი, კანადა, აშშ, ფინეთი, გერმანია, დანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი.

„ბ“ ჯგუფი – შვედეთი, შვეიცარია, რუსეთი, ჩეხეთი, ავსტრია, ნორვეგია, ლატვია, იტალია.

კობა კობახიძე

◎ შენ ხარ ტატამი...

მიველ, ვნახე სკამი...

მართალია, სკამი უსულო საგანია, მაგრამ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ზოგიერთი სულიერის სულიერ სამყაროზე.

კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა სკამის პრიზმაში ახალგაზრდა, საზოგადოებაში ერთ დროს დაფასებული პიროვნების გატარება გიწევს, თუმცა, საბოლოო ჯამში, იმედი მაინც გრჩება, იქნებ ლაკმუსის ქაღალდის დახმარებით მისთვისვე სასარგებლო ნაბიჯის გადადგმამდე მივიდეს – ხომ გსმენიათ, შეძახებამ ხე გაახმოო.

მოკლედ, დავით **სკამხიშვილის** (უკაცრავად – ქევხიშვილის) შესახებ მოგახსენებთ, რომელმაც ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის სავარძელს შესწირა ტატამზე ახლო წარსულში დამსახურებული ავტორიტეტი და იმდენი მოახერხა, რომ კიმონოიან დიდოსტატებს არამარტო ეს ყბადაღებული „კრესლო“ მიადგმევინა ნაგვის ურნასთან, არამედ საკუთარი კაბინეტის კარიც აჭედვინა.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ანალოგიური სცენარით ვითარდებოდა მოვლენები ჭიდაობის სამყაროშიც და როგორ დასრულა მოღვაწეობა ქართველ ფალავანთა მაშინდელმა თავკაცმა ლუკა კურტანიძემ, ყველას კარგად გვახსოვს. აღარაფერს ვამბობთ ჩვენს სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ აზვირთებულ გაცილებით გლობალურ საპროტესტო ტალღებზე, რომლებიც რევოლუციებშიც კი გადაზრდილა.

ზოგადად, ბატონ დავითს არც თანამდებობა აკლია – პარალელურად ყვარლის გამგებელიცაა; არც ტიტულები – ბოლოსდაბოლოს, ორგზის ოლიმპიური პრიზიორია; და არც განათლება – როგორც შევიტყვეთ, წითელ დიპლომზე ჰქონია დამთავრებული თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მაგრამ, როგორც კიდევ ერთხელ დასტურდება, წიგნიერება და განსწავლულობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ინტელექტი გაგაჩნია. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ის სიჯიუტე, რომლითაც იგი პოზიციებს არ თმობს და იხტიბარს ზემოთაღწერილი სიუჟეტის შემდეგაც არ იტეხს, როცა ტელეინტერვიუში წარბშეუხრელად აცხადებს – ვიცი, რომ აღნიშნული სკანდალის უკან პარლამენტარი შოთა ხაბარელი დგას და თანამდებობიდან გადადგომას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებო.

რაც შეეხება მეორე მხარეს, იგი უნდობლობას უცხადებს ამასწინათ შექმნილ კომისიას და გუშინ მთავრობის ადმინისტრაციასთან მორიგი აქცია გამართა.

ისე, ბიჭებს უკვე თითქმის ერთი თვეა, აღარ უვარჯიშიათ...

გია პლატონიშვილი

◎ ანტიდოპინგური გამოძიება

სისხლი სუფთაა, ახლა საქმე ჯგუფიდან გასვლაზეა...

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფამ) რუსეთელი ფეხბურთელების მიმართ, რომელთაც ანტიდოპინგური წესების დარღვევაში ედებოდათ ბრალი, სარწმუნო მტკიცებულებათა ნაკლებობის გამო, გამოძიება დახურა. ცნობა ამის შესახებ ორგანიზაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

სამეცნიერო და იურიდიული ექსპერტები აღნიშნულ გამოძიებას მსოფლიო ანტიდოპინგური სააგენტოს (ვადას) დამოუკიდებელი ექსპერტის **რიჩარდ მაკლარენისა** და ინფორმატორ **გრიგორი როდჩენკოვის** მონაცემებზე დაყრდნობით აწარმოებდნენ. გამოძიების შედეგების შესახებ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელობას შეატყობინა.

ოფიციალურ მიმართებაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ მოსკოვის ანტიდოპინგური ლაბორატორიის არც ერთ ნიმუშში ანომალიური გადახრა, ანდა შიგთავსის შეცვლის რაიმე კვალი – ნაკაწრი, ლუქის დარღვევა და სხვ. – გამოვლენილი არ არის. ასევე უარყოფითი შედეგი იქნა მიღებული ფიფასა და კონფედერაციების წარმომადგენელთა მიერ აღებული სინჯების განმეორებითი გადამოწმების მერე, რომლებიც ვადას მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიებში ინახებოდა.

უნდა ითქვას, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ სპორტსმენების მიერ ანიტიდოპინგური წესების შესაძლო დარღვევების გამოძიების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მოთამაშეებს აქცევდა, რომლებიც, დიდი ალბათობით, კარს მომდგარ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.



შარშან ზაფხულში, ბრიტანულმა გამოცემა „დეილი მეილმა“, გამოაქვეყნა ცნობა 34 რუსეთელი ფეხბურთელის მიმართ გამოძიების ჩატარების შესახებ. ისინი ყველანი დოპინგის მოხმარებაში იყვნენ ეჭვმიტანილნი, მათ შორის 23 მოთამაშე მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე რუსეთის ნაკრების წევრი იყო. თავდაპირველად ეს ინფორმაცია რუსეთის სპორტის მესვეურებმა უსაფუძვლოდ მიიჩნიეს, მაგრამ შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში, ფიფას პრესსამსახურმა გამოაცხადა, რომ გამოძიება ნამდვილად ტარდებოდა, თუმცა კი იმ დროისთვის რუსეთელების მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევის რაიმე ფაქტი დადგენილი არ ყოფილა.

დაახლოებით იმავე დროს, როდჩენკოვმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკის) კომისიებს მაკომპრომეტირებელი მასალების ახალი წყება გადასცა, რის შემდგომ ფიფამ სინჯების „სასამართლო ანალიზის“ ჩატარების შესახებ განაცხადა, რომლის მიზანი მათი გახსნისა და შეცვლის ფაქტების დადგენა იყო.

ნინო ალექსანდრია

ხსოვნა

ლამარა შამუგია

აფხაზეთის პედაგოგიურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, ღირსეული მეთოდისტ-მასწავლებელი, ყველასთვის თვალსაწიერი და სამაგალითო ადამიანი, ქალბატონი **ლამარა შამუგია-გულუა**.

ლამარა დაიბადა 1933 წელს ქალაქ გალში. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე — მშობლიური ენისა და (ქართული) ლიტერატურის განხრით. უმაღლესის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამუშაოდ აგზავნიან სოხუმის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ — სკოლის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში და მშობლიური ენა-ლიტერატურის მასწავლებლად.

გადიოდა დრო. ლამარა როგორც პროფესიონალი მასწავლებელი, აღმზრდელი, ნიჭიერი ორგანიზატორი, გაკვეთილების ახსნა-გადაცემის დიდოსტატი ხდებოდა.

ქალბატონი ლამარა სათავეში ედგა აფხაზეთისა და სოხუმის რაიონის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას 1993 წლის სექტემბრამდე.

ომის პირველი დღეებიდან სოფელი შრომა და სკოლა ყოველდღიურად გამუდმებით იბომბებოდა რუსების მიერ ეშერის სამხედრო ბაზიდან. როგორც სასწავლო ნაწილის გამგე, მისი ინიციატივით მოხერხდა სოფლის მოსახლეობისა და სკოლის ევაკუაცია ქალაქ სოხუმში, რათა სწავლების პროცესი არ შეწყვეტილიყო.

ქალბატონი ლამარა ხშირად აქვეყნებდა სამეცნიერო მეთოდურ ნაშრომებს. იყო აფხაზეთის განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი. მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება. დაჯილდოებული იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით;

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების დარგში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭა აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ხოლო შემდეგ საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მალე ამას მოჰყვა საქართველოს განათლების სამინისტროსგან „სახალხო განათლების წარჩინებულის“ წოდება. ქალბატონ ლამარას ხშირად იწვევდნენ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, განსაკუთრებით სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში დიდია წვლილი, როგორც ეროვნული მოღვაწის, პედაგოგ-აღმზრდელისა და მისი აღზრდილებისა.

ქალბატონ ლამარას არასოდეს შეუცვლია თავისი ეროვნული პოზიცია. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა დიდი წინაპრების მარად გაუხუნარი ეროვნული, მართლმადიდებლური საქმეებისა.

ლამარა როგორც ცოდნის ლამპარი მარად დარჩება სამშობლოსთვის მებრძოლ, ღირსეულ მომავალ თაობათა გულებში.

გფარავდეს ღმერთი! ამინ! ამინ! ამინ!

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო,
აფხაზეთის პედაგოგიური საზოგადოება.

სანთელი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს გუჩა კვარაცხელიას დის

გუგული კვარაცხელიას

გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

გახსენება

ნოე კბილაძე - 100



განათლებულ, პატიოსან, შრომისმოყვარე, სამშობლოსა და საკუთარ ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებულ, რაჭული წარმოშობისა და იმერეთში მოღვაწე ინტელიგენტ **ნოე გიორგის ძე კბილაძეს** 100 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონმა ნოემ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ტყიბულში ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას და ამ დარგის ღირსეული კადრებით და ქართველ მეშახტეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ტყიბულის ქვანახშირის შახტებში პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობისას. ქართველ მეშახტეებს და ქალაქის ინტელიგენციას უყვარდათ იგი, როგორც ნოვატორი, ინიციატივიანი, სამართლიანი და განსაკუთრებულად პატიოსანი ხელმძღვანელი, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი შვილების, შვილიშვილების, მომავალი თაობებისა და ახლობლების გულებში.

დათო და დარეჯან კბილაძეები

სკოპინგის განცხადება

დაგეგმილი საქმიანობა: სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების და აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს“ჯი-პი-პი რესაიქლინგ”;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, ორხევის დასახლება;

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 4 ივნისი 12:00 საათზე სამგორის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა;

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ მიაწოდოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს არაუგვიანეს 2018 წლის 5 ივნისამდე, მისამართზე: ქ.თბილისი მარშალ გელოვანის ქ. №6 ; ელ/ფოსტაზე: moa@mepa.gov.ge.

სკოპინგის ანგარიში და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

მისამართი: ქ.თბილისი მარშალ გელოვანის ქ. №6

სამგორის გამგეობა ტელ (032) 2 374 034

samgori@tbilisi.gov.ge

საქართველო საქმიანი თუ საერთაშორისო შეხვედრების ეპიცენტრი ხდება

საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია — ICCA-ს რეიტინგში, საქმიანი ტურიზმის სფეროში საქართველოს მაჩვენებელი გაუმჯობესდა. როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ხელმძღვანელმა თორნიკე ზირაქიშვილმა რადიო „კომერსანტს“ უთხრა, გამარტივებული სავიზო რეჟიმი, კარგი ინფრასტრუქტურა — შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად, საუკეთესო კულტურული, გასტრონომიული შეთავაზებები და ღვინო ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქმიანი ტურიზმის სფერო საქართველოში.

„2014-2017 წლებში საქართველო ჯამში 16 პუნქტით დაწინაურდა და დაიკავა პირველი ადგილი კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ცნობადობა წლიდან წლამდე იზრდება და ჩვენი ქვეყანა საქმიანი თუ საერთაშორისო შეხვედრების ეპიცენტრი ხდება. საერთაშორისო კონგრესებისა და კონვენციების ასოციაცია — ICCA მნიშვნელოვანი ასოციაციაა, იგი ითვლის იმას,თუ რამდენად მიმზიდველი არიან ქვეყნები საქმიანი შეხვედრებისთვის,“ — აღნიშნა რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად“ თორნიკე ზირაქიშვილმა.

როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ხელმძღვანელი აღნიშნავს, მათი ბიურო 2 წელიწადზე მეტია, რაც ფუნქციონირებს და უკვე 44 წევრი ორგანიზაცია ჰყავთ, რომლებიც საქართველოში ყველაზე მასშტაბურ სასტუმროებს, ღონისძიებების ორგანიზატორ კომპანიებს და ტურისტულ კომპანებს აერთიანებს.

„სწორედ ჩვენი ინტენსიური მუშაობის, ასევე არასამთავრობო და კერძო სექტორის ჩართულობის შედეგია რეიტინგში ასეთი დიდი წარმატება. საქართველო მოწინავე პოზიციაზეა ისეთ სახელმწიფოებთან მიმართებაში, როგორებიცაა: ყაზახეთი, უკრაინა, ყატარი და მონაკო. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, 500 ადამიანზე პატარა ღონისძიებებისა და შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობა გვაქვს. ყველაზე მოთხოვნადია თბილისი, ბათუმი, ასევე კახეთი, ბორჯომი, გუდაური,“ — ამბობს თორნიკე ზირაქიშვილი.

თორნიკე ზირაქიშვილის თქმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურო წლის ბოლომდე საქართველოს შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, რამდენიმე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.

„კომერსანტი“

საგამოძიებო სამსახურმა კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად კომერციული მოსყიდვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ერთ-ერთი აგრარული ბაზრის დირექტორმა და მისმა თანამშრომელმა უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ერთ-ერთ მოქალაქეს ხელშეკრულების გაფორმების გარეშე ბაზრის ტერიტორიაზე არსებული ფართის გაქირავების სანაცვლოდ, უკანონოდ მოსთხოვეს და გამოართვეს 1 000 ლარი.

დავით გარეჯში უნიკალური ფრესკები დააზიანეს

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, უდაბნოს მთავარ ეკლესიასა და სატრაპეზოში უნიკალური ფრესკები დაზიანეს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ფაქტს ვანდალიზმად აფასებენ. მათივე განცხადებით, ფრესკების რესტავრაცია შესაძლებელია.

სურამში კიდევ ერთი სასტუმრო აშენდება

პროექტის „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში რიგით 18-ე სასტუმრო დაბა სურამში მოეწყობა. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 5140 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ფიზიკურმა პირმა გია კუპრაძემ ელექტრონულ აუქციონზე 70 000 ლარად იყიდა.

აღსანიშნავია რომ, პროექტის ფარგლებში ეს უკვე რიგით მესამე სასტუმრო იქნება, რომელიც დაბა სურამში აშენდება და უმასპინძლებს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ სტუმრებს. შეგახსენებთ, რომ ჯამში უკვე გაყიდულია 51 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონება, ხოლო სასტუმროების ასაშენებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა 107 მილიონი ლარია.

ვიდრე შუახნის ასაკს მიაღწევდეთ...



ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ვეგეტარიანელი ქალები უფრო მალე ბერდებიან.

მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ ცხოველური წარმოშობის ცილებზე უარის თქმა კანის დაბერების აჩქარებს, რის გამოც ქალბატონები თავის წლოვანებასთან შედარებით უფრო ასაკოვნად გამოიყურებიან.

თუმცა ისიცაა, რომ ეს მხოლოდ ახალგაზრდა მანდილოსნებზე მოქმედებს, 50 წლის შემდეგ კი ხორცზე უარის თქმა, ორგანიზმზე, მათ შორის კანის მდგომარეობაზე კარგად მოქმედებს.

„რა დაგიშავე, ორგულო...“

სხვადასხვა კულტურის მქონე ქვეყნებში ოჯახის მთლიანობის შენარჩუნებაზე სხვადასხვანაირად ზრუნავენ.

მაგალითად, **თურქეთში** სქესობრივად თავნება მეუღლე შესაძლოა, ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთით დაისაჯოს. ასევე ქცევისთვის **ჩინეთში** მას ორ წლამდე, **ინდონეზიაში** კი, სულაც თხუთმეტ წლამდე პატიმრობა შეიძლება, მიუსაჯონ!

ბულგარეთში ადიულტერის ჩამდენს მატერიალურად სჯიან – მოღალატემ მეუღლეს ალიმენტები უნდა უხადოს. **შვეიცარიაში** კი სასამართლომ მოღალატეს შეიძლება, სამი წლის განმავლობაში დაქორწინება აუკრძალოს.

მოტოციკლეტის ძრავაზე უფრო ხმამაღალი

დიდი ხნის მანძილზე ხვრინვა მავნედ ითვლებოდა, თუმცა ახლა დადგინდა, რომ მის ზოგიერთ სახეობას ზიანი არ მოაქვს.

თანამედროვე მედიცინაში არჩევენ „კეთილთვისებიან“ ხვრინვას, რომელიც მხვრინავკაცს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის და „პათოლოგიურს“ (რონქოპათიას), რომელიც ძილის დროს სუნთქვის ქრონიკულ უკმარისობას და სუნთქვის თვითნებურ შეჩერებას (აპნოეს) უკავშირდება. ავადმყოფობად მხოლოდ ხვრინვის მეორე სახეობაა მიჩნეული, თუმცა კი მრავალი ექიმის აზრით, „კეთილთვისებიანი“ ხვრინვა მხოლოდ რონქოპათიის დაწყებითი ფორმაა.

თუ როგორია „ნამდვილი ხვრინვა“, ამას შემდეგი ფაქტი მოწმობს: ბრიტანელ პენსიონერ ქალბატონ ჯეინ ჩეპმენს 111,6 დეციბელის სიმძლავრის ხვრინვა დაუდგინეს, რომელიც მოტოციკლეტის მომუშავე ძრავაზე ხმამაღალი იყო(?!)

გასაცინებელი ა(მ)ბები

სპილოს ავადმყოფობა

ზოოპარკის დირექტორმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი სპილო ახველებდა. წყლიან ვედროში კარგა ბლომად ცხელი გროგი ჩაუსხა და დაალევინა. დილით სპილოს ერთი აღარ წამოუხველებია, მაგრამ სამმა სხვა სპილომ დაიწყო ხველება.

ლომის წილი

კინოგადაღების დროს რეჟისორმა მსახიობს ლომის გალიაში შესვლა უბრძანა, მსახიობი დაეუარა:

— ტყუილად გეშინიათ, — უთხრა რეჟისორმა, — ეს ლომები რძით არიან ნაკვები.

— მეც რძით ვარ ნაკვები, — მიუგო მსახიობმა, — მაგრამ ახლა ხორცსაც გემრიელად მივირთმევ.

ცხოვრებაში და სცენაზე

ვარშავის ერთ-ერთ თეატრში პოლონური კომედიის რეპეტიციის დროს ავტორმა უცნობ კომიკოსს მიმართა:

— ცხოვრებაში მხიარული და გონებამახვილი ხარ და არ მესმის, ჩემს პიესაში რა გემართება, რატომ ხარ ასე მოწყენილი და გულისგამაწვრილებელი?!

— იცით რა, — მიუგო არტისტმა, — ცხოვრებაში მე ჩემი ტექსტი მაქვს.

ასაკი

ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ქალმა თავისი ცხოვრების დაისზე ძალიან მოკრძალებულად დაიწყო ჩაცმა. ნაცნობები გაოცებულნი იყვნენ და ეკითხებოდნენ, რა მოხდაო.

მსახიობმა მიუგო:

— არის ასაკი, როცა ქალმა კი არ უნდა ჩაიცვას, არამედ, უნდა დაიფაროს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4438; ევრო - 2.8869;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2881;
100 რუბლი - 3.9817; თურქული ლირა - 0.5319;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4413;
1000 სომხური დრამი - 5.0596.

ამინდი 24 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +25
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +15, დღე +30
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +28
თბილისი: ღამე +18, დღე +29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge